პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ოთხშაბათი,
24
აპრილი
1935 წ.
№ 97 (4253)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის მესამე ყრილობის XXX წლისთავი



ლენინი (1905 წელს)

ლენინი წერდა:
„ჩვენ გამოვაცხადეთ გათიშვა, ჩვენ ვიწვევთ ყრილობაზე ვპერიოდელებს, ჩვენ გვსურს მოვაწყოთ ვპერიოდელთა პარტია და ვწყვეტთ, დაუყოვნებლივ ვწყვეტთ ყველა და ყოველგვარ დამოკიდებულებას დეზორგანიზატორებთან...“

დღესასწაულის წინ

„პრავდის“ მოწინავე 23/IV

წელს პირველი მაისისთვის მზადება საბჭოთა კავშირში რაღაც განსაკუთრებული აღტყინებით მიმდინარეობს.

როგორღაც სრულიად ახლებურად სუნთქავს ადამიანი ამ გაზაფხულზე ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, მუშათა ბინებში, გლეხთა სახლებში, სამხედრო ნაწილებში.

პირველი მაისი ჩვენში უკვე აღარ წარმოადგენს მარტო პოლიტიკურ დღეს. ეს დღესასწაული ღრმად შეიჭრა როგორც ყოფაცხოვრებაში, ისე მშრომელთა პირად ცხოვრებაში. ეს ცხოვრება კი დღითი-დღე უფრო სრული, უფრო შინაარსიანი ხდება, სულ უფროდაუფრო შეძლებული ხდება იგი; ჩვენ გავიარეთ ყველაზე სერიოზულ სიძნელეთა ხანა, და სოციალიზმი იძლევა თავის ნაყოფს. და ეს ხომ მხოლოდ დასაწყისია?

კარგია 1935 წლის გაზაფხული ჩვენს ქვეყანაში. მრეწველობა არ შეჩერდა გასული წლის მიღწევებზე და სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ.

მტკიცდება კოლმეურნეობები. თესვა წარსულ გაზაფხულზე გაცილებით უკეთ მიმდინარეობს. სწრაფად ჩაღდება ვაჭრობა, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის კეთილდღეობა — განუხრელად იზრდება. საუკეთესო ტექნიკით აღჭურვილი წითელი არმია მტკიცდება და სრულყოფილი ხდება პარტია—სამშობლოს ტვინი და გული—ერთიანია, შემჭიდროებულია თავისი ისტორიულად შემოწმებული და დაუცხრომელი ხელმძღვანელობის მეთაურობით. მაშ, რაღა გასაკვირია, თუ ქალაქებსა და სოფლებში, საამქროებსა და მინდვრებში, სკოლებსა და ბაღებში დღესასწაულისთვის ამზადებენ ამდენ სიმღერას, ყვავილებს, დროშებს და მუსიკას, ყველგან გაჩაღებულია მუშაობა. სადღესასწაულო ენტუზიაზმის გავლენით უფრო სწრაფად მუშაობენ დაზგები, უფრო ხანგრძლივ ვაჭრობენ მაღაზიები, უფრო ლამაზად ირთვებიან ქუჩები, სახლები, ადამიანები.

დღეს „პრავდაში“ გამოქვეყნებული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგები გამოხატავენ და აყალიბებენ ამ საგაზაფხულო იმედიან, მხნე განწყობილებათა აზვირთებას ჩვენს ქვეყანაში. ლოზუნგები ეხებიან ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ცხოვრების ყოველ მხარეს, მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ძირითად პრობლემებს, ისინი მოუწოდებენ შრომისა და ბრძოლისაკენ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგები მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი მიმართული ცეცხლოვანი სიტყვებით ამბობენ:

„კაპიტალიზმის ქვეყნებში, ფაშიზმის ქვეყნებში მუშათა და გლეხთა მილიონები განწირული არიან შიმშილისა, სილატაკისა და უმუშევრობისათვის. საბჭოთა კავშირში საბჭოების ხელისუფლებამ მოსპო უმუშევრობა, ფართო გზა გაუხსნა ყველა მშრომელს შეძლებული, კულტურული, სასიხარულო ცხოვრებისაკენ. მთელი მსოფლიოს პროლეტარებო, და გლეხებო გასწიეთ საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების გზით! ძირს ფაშიზმი! ძირს კაპიტალიზმი! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელს მსოფლიოში!“

ამაშია ჩვენი დროის უდიდესი სიმართლე, კომუნიზმის უდიდესი სიმართლე! და ამას ადასტურებს ჩვენი ქვეყნის და მისი ხალხების კულტურის, შეძლებულობის ზრდა და საუცხოვო საგაზაფხულო სურათი, ადასტურებს დაჩაგრულთა და უბედურთა ასეული მილიონების მძიმე, ნახევრად - მშიერი, ბნელით მოსილი ცხოვრება კაპიტალისტურ ქვეყნებში.

საზღვარს გადაღმით სულისშემხუთავ საომარ ვითარებაში მილიტარისტთა, რეაქციონერთა, მუშათა კლასის სულთამხუთავთა ცოფმორეული ხროვა ამზადებს ახალ საშინელ მსოფლიო სასაკლაოს. ჩახშობილია ადამიანის უფლებები, თვით, სამუშაოს, ლუკმა პურის, სიცოცხლის ელემენტარული უფლებაც კი. დგას დინამიტის, გამანადგურებელი მახრჩობელა გაზების სუნი. ფაშისტური ჯალათები ატრიალებენ ნაჯახებს, სიკვდილით ემუქრებიან მუშას განძრევის ცდისათვის.

ჩვენში საბჭოთა კავშირის გაზაფხული სიხარულით, ბედნიერებით, ხალხთა ძმური ცხოვრებით სჩქეფს. ურთიერთის დახმარებით ასზე მეტი ეროვნება ნაყოფიერად თანამშრომლობს და ქმნის ნამგალის და ჩაქუჩის დროშის ქვეშ. მათ საერთო ძალღონით შექმნეს ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი, რომელიც ურყევ სალ კლდედ მოსჩანს კაპიტალისტური მსოფლიოს მღელვარე ტალღებს ზევით.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა! განამტკიცეთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმე! დადექით კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, წინ, ახალ ბრძოლებისა და გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს მსოფლიოს სოციალისტურ რევოლუციას!“

კომუნიზმის ეს საბრძოლო ყიჟინი ყოველგვარი ფაშისტური დაბრკოლების გადალახვით გზას იკაფავს მშრომელთა შეგნებისა და გულისაკენ. იგი გვაუწყებს, რომ ფაშიზმის დაღუპვის დღე შორს აღარ არის.

საბჭოთა კავშირი გადაიქცა მსოფლიო სახელმწიფოდ, ხოლო ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი მთელ მსოფლიოს ჩაგრულთა მასწავლებლად, კომუნიზმის კოლექტიურ მედროშედ. იგი მიდის ლენინ-სტალინის დიადი პარტიის სწორი გზით. მის წინაშე ჯერ კიდევ უდიდესი ისტორიული ამოცანები დგას. წინ ბრწყინავენ ტექნიკის, კულტურის, ორგანიზაციის მწვერვალები, რომლებზედაც ჩვენ უნდა ავიდეთ.

ყურადღება ადამიანებისადმი, სოციალისტური წესრიგის, უფლებრივი შეგნების, საბჭოთა დემოკრატიის განმტკიცება, სიფხიზლის გაძლიერება, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება — ყოველივე ამაზეა დამოკიდებული ჩვენი შემდგომი წარმატებები. დაე, მიმდინარე წლის პირველი მაისის განსაკუთრებით სასიხარულო დღესასწაული გადაიქცეს კიდევ ერთ ბიძგად ამ ამოცანების მისაღწევად.

მაშ, ვემზადოთ პირველ მაისისათვის. ვემზადოთ მხიარულად, მხნედ, გაცხოველებით. უფრო სწრაფად იტრიალეთ ქარხნების — სოციალიზმის მშვიდობიან ციხე-სიმაგრეების —ბორბლებო. კიდევ უფრო მაღლა აიწიეთ საბჭოთა მიწაწყლის დამცველ სამხედრო საჰაერო ფლოტის ფრთებო. უფრო მძლავრად გაისმას სიმღერები, აგუგუნდეს ორკესტრები, უფრო გამრავალფეროვანდენ ყვავილები, უფრო იელვარონ დროშებმა, ფართოდ გაიშალონ კოლონები, — საბჭოთა ქვეყანა ეგებება თავის საგაზაფხულო დღესასწაულს!

ოცდაათი წლისთავი

ემ. იაროსლავსკი

რ.ს.დ.მ.პ. მე-III ყრილობის 30 წლისთავი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მიჯნას მთელს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. პარტიის მეორე ყრილობამ (1903 წელი) საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკური პარტიის არსებობას. „წინათ,—წერდა ლენინი, — ჩვენი პარტია არ ყოფილა ორგანიზებული, ფორმალურად მთლიანი, არამედ წარმოადგენდა მხოლოდ კერძო ჯგუფთა შეხაირის და ამიტომ ამ ჯგუფებს შორის არც შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა ურთიერთობა, გარდა იდეური ზეგავლენისა ახლა ჩვენ გავხდით ორგანიზებული პარტია...

მეორე ყრილობაზე ბოლშევიკები იცავენ თავის საორგანიზაციო ხაზს. ისინი იმუშავებენ თავის ტაქტიკას, რომელიც შემდეგ თავის გამოხატულებას ჰპოვებს მესამე ყრილობის რეზოლუციაში (1905 წელს). ყრილობაზე პირველად ეჯახება ერთმანეთს სხვადასხვა იერის სოციალისტური აზრები. ყალიბდება ძირითადი მიმდინარეობაბი მუშათა მოძრაობაში. ვინ იქნება მოძრაობის ხელმძღვანელი ახალ ეტაპზე. ოპორტუნისტი პლეხანოვი, ზასულიჩი, მარტოვი, აქსელროდი, პოტრესოვი, რომლებსაც დაებუდნათ რ.ს.დ.მ. პარტიაში, თუ რევოლუციური მოძრაობის სათავეში ჩადგება რევოლუციური მარქსიზმის ბელადი ლენინი? ასე იდგა საკითხი პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ.

„მობრუნება საბედისწერო აღმოჩნდა ამ ორგანიზაციის ხუთი წევრისათვის. ისინი გადმოცვივდენ ეტლიდან. ლენინი განმარტოებული დარჩა... ახლა თვითეული ბოლშევიკისათვის ნათელია, რომ ხუთეულის წინააღმდეგ ლენინის გადამწყვეტი ბრძოლის გარეშე, ხუთეულის ჩამოშორებლად ჩვენი პარტია ვერ შესძლებდა შემჭიდროებას, როგორც ბოლშევიკების პარტია, რომელსაც შესწევს უნარი გაუძღვეს პროლეტარებს რევოლუციისაკენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ“. *).

პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ იწყება არა მარტო ბოლშევიზმი და მენშევიზმი, არამედ მენშევიზმის განსაკუთრებული ნაირსახეობაც — ტროცკიზმი, რომელიც თავისი მსოფლმხედველობის ოპორტუნისტულ რაობას მუდამ ფარავდა მემარცხენე ფრაზებით. მენშევიკებისა და ტროცკისტების ოპორტუნიზმს და ინტელიგენტურ ანარქიზმს ლენინმა დაუპირისპირა ბოლშევიკური პარტიის შემჭიდროებული მებრძოლი ორგანიზაცია, რევოლუციური მარქსიზმით შეიარაღებული და რკინისებური დისციპლინით შეკავშირებული ორგანიზაცია.

„ხელისუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატს არ მოეპოვება სხვა იარაღი, გარდა ორგანიზაციისა“. — ასე ამთავრებდა ლენინი მაშინდელ თავის შესანიშნავ ნაწარმოებს. „ნაბიჯი წინ ორი ნაბიჯი უკან“. „ბურჟუაზიულ სამყაროში ანარქიული კონკურენციის ბატონობით გათიშულ, კაპიტალისათვის იძულებითი მუშაობით დაბეჩავებულ, სრული სილატაკის, გაველურების და გადაგვარების „ფსკერში“ მუდამ ჩანაგდებ პროლეტარიატს შეუძლია გახდეს და აუცილებლადაც გახდება უძლეველი ძალა მხოლოდ იმით, რომ მისი იდეური გაერთიანება მარქსიზმის პრინციპებით განმტკიცებულია იმ ორგანიზაციის მატერიალური მთლიანობით, რომელიც მშრომელთა მილიონებს რაზმავს მუშათა კლასის არმიად. ამ არმიას ვერ გაუძლებს ვერც რუსეთის თვითმპყრობელობის დაჩანჩალებული ხელისუფლება, ვერც საერთაშორისო კაპიტალის ხელისუფლება, რომელიც დაჩანჩალებისავე გზაზეა დამდგარი. ეს არმია სულ უფრო და უფრო შეამჭიდროებს თავის რიგებს, მიუხედავად ათასგვარი ზიგზაგებისა და უკან გადადგმული ნაბიჯებისა, მიუხედავად თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ჟირონდისტთა ოპორტუნისტული ფრაზებისა, მიუხედავად ჩამორჩენილი წრეობანობის თვითკმაყოფილებლური ხოტბისა, მიუხედავად ინტელიგენტური ანარქიზმის ზიზილ-პიპილებისა და ხმაურისა“.

პარტიის მეორე ყრილობის შემდგომმა ამბებმა ცხადჰყო, რომ საჭირო იყო შემდეგი ნაბიჯის გადადგმა, საჭირო იყო კავშირის სრულიად გაწყვეტა მენშევიკებთან. მენშევიკებთან კავშირის ამ გაწყვეტაში დიდი როლი ითამაშეს კავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა კავკასიის კომიტეტის სახით. 90-იან წლების დამლევს კავკასიაში ჩაისახა რევოლუციური მარქსიზმის მოძრაობა. ამ მოძრაობაში დიდ როლს თამაშობდა ამხ. სტალინი, მარქსისტული მოძრაობის მონაწილე 1897 წლიდან,— რომელიც მუშაობდა წლოვანობით თავისზე უფრო ხნიერ ამხანაგებთან —კეცხოველთან, ცხაკაიასთან, მახარაძესთან ერთად. ტფილისი, ბათომი, ბაქო—რევოლუციური მუშათა მოძრაობის ეს მთავარი ცენტრები სტალინისათვის წარმოადგენდნენ პირველ რევოლუციურ სკოლას. ისინივე იყვნენ ბოლშევიკური მოძრაობის პირველი დასაყრდენი პუნქტები, სადაც სტალინი სხვა ბოლშევიკებთან ერთად აგებდა ბოლშევიკურ ციხესიმაგრეებს, ქმნიდა ბოლშევიკურ კომიტეტებს, ხელმძღვანელობას უწევდა კავკასიის ბოლშევიკების ბრძოლას. აზრი დამოუკიდებელი ბოლშევიკური ყრილობის შექმნის შესახებ დაიბადა მეორე ყრილობის ცოტა ხნის შემდეგ, როცა ცენტრალურ კომიტეტში მყოფ შემარიგებელთა ნაწილმა „ისკრას“ და ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა ფაქტიურად მენშევიკებს გადასცა. ყრილობის იდეა ერთდაიმავე დროულად დაიბადა მთელ რიგ ბოლშევიკურ კომიტეტებში და ოცდაორი ბოლშევიკის თათბირმა საზღვარგარეთ, რომელიც 1904 წელს გაიმართა ჟენევაში, გადაწყვიტა მიემართა ადგილობრივ ორგანიზაციებისთვის მოწოდებით ახალი ყრილობის სასწრაფოდ მოწვევის შესახებ. 1904 წლის ნოემბერში რუსეთის სამ საოლქო კონფერენციაზე (ჩრდილოეთის, სამხრეთის, კავკასიისა) არჩეულ იქნა უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო, რომელსაც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მიანდეს მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა ყრილობამდე, ბიურომ გამოყო თავისი გაზეთის „ვპერიოდის“ რედაქცია. შემარიგებლებს ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ შესძლებდენ ბოლშევიკებისა და მენშევიკების საერთო ყრილობის მოწვევას.

ლენინი, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ც.კ-ში დაბუდებულ შემარიგებელთა მისწრაფება მოეწვიათ ყველა სოციალ-დემოკრატთა საერ-

(იხ. მე-2 გვ.)

---

*) სტალინი. საბოლოო სიტყვა 1927 წ. პარტიის მე-XV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენების გამო. სტენოგრ. ანგ. გვ. 378—379.



EN AVANT.

ВПЕРЕДЪ

ЖЕНЕВА, 14 (1) ЯНВАРЯ

ლენინის მიერ 1904 წლის დეკემბერში დაარსებული გაზ. „ვპერიოდი“, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა პარტიის მესამე ყრილობისათვის ბრძოლაში. მის რედაქციაში შედიოდენ: ლენინი, ოლმინსკი, ვოროვსკი და ლუნაჩარსკი.

ჩინეთის წითელი არმიის ძლევამოსილი წინსვლა

გერმანიის საპროტესტო ნოტა

მოსკოვი, 22 აპრილი. გერმანიის ელჩმა მოსკოვში გრაფ **ფონ-დერ-შულენბურგმა** 20 აპრილს ინახულა სსრ კ-ის საგარეო საქმეთა სახ. კომისრის მოადგილე ამხ. **ნ. ნ. კრესტინსკი** და გადასცა მას გერმანიის მთავრობის პროტესტი ერთა ლიგის საბჭოს საგანგებო სესიის 17 აპრილის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ამ პროტესტით, რომლის შინაარსი უკვე ცნობილია პრესის ინფორმაციიდან, გერმანიის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა მიმართეს აგრეთვე ერთა ლიგის წევრ — ქვეყნების მთავრობებს, რომლებმაც ხმა მისცეს ხსენებულ გადაწყვეტილებას (ადს).

—o—

ჰავასის სააგენტოს ცნობა

საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დროებით შეწყვეტის შესახებ.

პარიზი, 21 აპრილი. ჰავასის სააგენტო ავრცელებს შემდეგ ცნობას:

„ლიტვინოვსა და ლავალს შორის მოლაპარაკების დროებით შეწყვეტის შესახებ საკ. დეპეშათა სააგენტოს კომუნიკეს გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ჰავასის სააგენტო აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების განგრძობა მართლაც არ შეიძლებოდა იმ შუალედის დროს, რომელიც გამოწვეულია ლიტვინოვის ჟენევიდან მოსკოვში გამგზავრებით. **ლავალი** და **ლიტვინოვი** ჟენევაში გამართული საუბრების დროს შეთანხმდენ საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთი დახმარების პაქტის პროექტის საფუძველზე და განიხილეს ამ პროექტის ტექსტი. ლიტვინოვის გამგზავრების მომენტისათვის დარჩენილი იყო კიდევ ზოგიერთი სიძნელე, რომლებიც ამ ტექსტის რედაქციას ეხებიან. გასაგებია, რომ ლიტვინოვს აუცილებლად მიაჩნდა მოეხსენებია თავისი მთავრობისათვის მოლაპარაკების მდგომარეობა, ისე როგორც ეს მოიმოქმედა ლავალმა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე“ (ადს).

—o—

დამოუკიდებელ ინდოეთისათვის

ლონდონი, 22 აპრილი. ინდოეთის ტრედიუნიონების კონგრესმა კალკუტის სხდომაზე მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც იგი კიცხავს ინდოეთის კონსტიტუციის კანონპროექტს და მოითხოვს ინდოეთის გამოყოფას ბრიტანეთის იმპერიისაგან (ადს).

ჩან-კაიშის ჯარები გადადიან წითლების მხარეზე

ტოკიო, 22 აპრილი. დემპო ცუსინის სააგენტოს გადმოცემით, **ნანკინის ჯარების მე-21 დივიზია, რომელიც ჩინეთის წითელ არმიასთან საბრძოლველად დაბანაკებულია სიჩუანის პროვინციაში, ამას წინათ აჯანყდა და შეუერთდა წითელ არმიას.** აჯანყების შედეგად შეწყდა ნანკინის ჯარების კავშირი ჩენდუსა (სიჩუანის პროვინციის დედაქალაქი) და ჩუნცინს შუა.

ჩენდუში სამხედრო წესები გამოაცხადეს.

ნანკინის ჯარების ნაშთები, რომლებიც ნანკინის მთავრობის ერთგული დარჩენ, სასწრაფოდ ემზადებიან ჩენდუს დასატოვებლად, რადგან მათ ეშინიათ, რომ ქალაქს შემოერტყმება ჩინეთის წითელი არმია (ადს).

—:—

ჩან-კაი-შის „არ ძალუძს ჩინეთის წითელი არმიის დამარცხება“

ტოკიო, 22 აპრილი. „**იომიურის**“ სიტყვით, იაპონიის სამხედრო წრეები ფიქრობენ, რომ ჩან კაი-შის „**არ ძალუძს სასტიკად დაამარცხოს** ჩინეთის წითელი არმია, **და** კომუნისტური მოძრაობა სამხრეთ ჩინეთში კვლავ სწრაფად ფართოვდება“.

იაპონიის სამხედრო წრეების აზრით, ჩინეთის წითელი არმიის უკანასკნელმა გამარჯვებებმა თვალსაჩინოდ შეარყიეს ჩან კაი-შის გავლენა და ისინი მალე გამოიწვევენ მკვეთრ ცვლილებებს ჩინეთში (ადს).

გერმანიის საპროტესტო ნოტის განხილვა

ლონდონი, 22 აპრილი. „**დეილი ტელეგრაფის**“ გადმოცემით, იტალია, საფრანგეთი და ინგლისი თათბირობენ გერმანიის პროტესტის გამო ჟენევის რეზოლუციის წინააღმდეგ. **სუვიჩსა** და **ბეკს** შორის ვენეციაში გამართული საუბრის დროს განხილულ იქნა დუნაის კონფერენციის პერსპექტივები. ბეკმა ხაზი გაუსვა, რომ პოლონეთი განსაკუთრებით დაინტერესებულია ავსტრიის დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. გაზეთის გადმოცემით, სუვიჩსა და ბეკს შორის მიღწეულია სრული შეთანხმება (ადს).

—o—

ერთიანი ფრონტის დროშით

სტოკჰოლმი, 21 აპრილი. შვეციის კომპარტიამ შვეციის პროფორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით მონაწილეობა მიიღონ საპირველმაისო დემონსტრაციებში ომის, ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. მოწოდებას ბევრი პროფორგანიზაცია გამოეხმაურა ადგილებზე. მათ განაცხადეს, რომ პირველ მაისს გამოვლენ ქუჩაში ერთიანი ფრონტის დროშით. შვეციის პროფკავშირების მთავარ გაერთიანებას ბევრ ადგილიდან, მათ შორის სტოკჰოლმიდან და გეტებორგიდან მოსდის მოთხოვნები —პირველ მაისს გამოვიდენ ქუჩაში მუშათა ერთიანი ფრონტის დროშით. გეტეფორგში ორმა უდიდესმა პროფკავშირმა — მელითონეთა და შავ მუშათა პროფკავშირებმა თავისი ბელადების სურვილის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირეს კომუნისტებთან საერთო დემონსტრაციების მოწყობას და მოუწოდეს ყველა დანარჩენ მუშათა ორგანიზაციას მიბაძონ მათ მაგალითს (ადს).

ამხანაგი სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი და ორჯონიკიძე მეტროში

მოსკოვი, 22 აპრილი. 22 აპრილს, საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე, ამხანაგი **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი** და **ორჯონიკიძე** მივიდენ „ყირიმის მოედნის“ სადგურზე, ჩასხდენ მეტროს ვაგონში, რომელშიც იმყოფებოდენ მგზავრები — მოსკოვის მუშები, და გაიარეს მთელი ტრასა სოკოლნიკამდე და უკან —სმოლენსკის მოედნამდე. „კრასნიე ვოროტას“ და „ოხოტნი რიადის“ სადგურებზე ამხანაგმა **სტალინმა** გულდასმით დაათვალიერა ესკალატორები. მრავალი ათასი მუშა, რომლებიც სადგურებში იდგენ და მეტროს ვაგონებით მიემგზავრებოდენ, მხურვალედ მიესალმენ ამხანაგ **სტალინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს** და **ორჯონიკიძეს.** მგზავრთა მასები აღტაცებული შეძახილებით **„ვაშა“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“** მიესალმენ საბჭოთა კავშირის ხალხთა საყვარელ ბელადს.

22 აპრილს მეტროს მატარებლებმა გადაიყვანეს 150 ათასი მოსკოველი (ადს).

სტალინი (1905 წელს)

„არ შეიძლება მოვიყვანოთ არც ერთი ცოტადთუბევრად მნიშვნელოვანი ფაქტი ლენინური ხაზისათვის ბრძოლის ისტორიიდან, რომელიც არ იყოს გამსჭვალული ამხ. სტალინის აზრით და ნებისყოფით“. (ლ. ბერია).

წესდება დაუმახინჯებლად იქნას მიღებული

კოლმეურნეობათა მიერ სასოფლო - სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების მიღება ისეთი საქმეა, რომელიც მოითხოვს არა მარტო განხილვას, პროპაგანდას და აგიტაციას, არამედ დიდ ორგანიზაციულ მუშაობასაც, მკაფიო და კონკრეტულ ხელმძღვანელობას პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ ხელმძღვანელები ვალდებული არიან ამომწურავი პასუხი გასცენ კოლმეურნეს თვითეულ კითხვაზე, ყველაფერი გააკეთონ, რათა ახალი წესდება ეფექტიანი და ძლიერი იარაღი გახდეს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრებისათვის ბრძოლაში. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს წარმოადგენენ გუშინ „პრავდაში“ დაბეჭდილი სსრ კ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და საკ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების დოკუმენტები და ვორონეჟის საოლქო აღმასკომის და საოლქო კომიტეტის, აზოვ-შავი ზღვის სამხარეო აღმასკომისა და სამხარეო კომიტეტის დადგენილებანი, მოწოდებული და შესწორებული სსრკ-ის მიწსახკომის და საკ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების მიერ.

თვითეულ რესპუბლიკას, მხარეს და ოლქს უკვე აქვთ ახალი წესდებით მუშაობის ერთგვარი გამოცდილებანიც: უკვე არის უეჭველი წარმატებანიც. ასობით და ათასობით კოლმეურნეობამ წელს დაიწყო მუშაობა ახლებურად, ისე, როგორც ამას არტელის სანიმუშო წესდება მოითხოვს. თესვის მაღალი ხარისხი და მოკლე ვადები სამხრეთის მარცვლეულ რაიონებში მოწმობს კოლმეურნეთა დიდ საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობას. ყველგან, სადაც კი საქმეს კაზიონურად არ მისდგომიან პირდაპირ სასწაულები ხდება. ავიღოთ, მაგალითად, კომინტერნის სახელობის არტელის კოლმეურნე ქალის, დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობის პრეზიდიუმის წევრის — მარიამ დემჩენკოს წერილი ამხანაგ **სტალინისადმი,** გუშინ რომ დაიბეჭდა „პრავდაში“.

ახალ წესდებას, — ამბობს იგი,— ყველა კრებაზე აღფრთოვანებით, სიხარულით ღებულობენო.

ბრიგადას, რომელშიაც ამხ. დემჩენკო მუშაობს, სურს მიიღოს 500 ცენტნერი ჭარხალი ჰექტარიდან. მიწის ნაკვეთი პარკეტივით სუფთაა, ერთი სარეველა ბალახიც არ ურევია. კოლმეურნენი დიდი სიყვარულით შრომობენ მინდვრებში. და ყველგან, სადაც კი გაუღვიძნია კოლმეურნეთა ინიციატივასა და თვითმოქმედებას — ხოლო სწორედ ამაში მდგომარეობს საკოლმეურნეო დემოკრატია, — იქ თვითეული ადამიანი არის თავგამოდებული მებრძოლი ბოლშევიკური არტელისათვის, უხვი მოსავლისათვის.

მაგრამ ბევრი რაიონისათვის ჯერ კიდევ დამახასიათებელია შეცდომები, ხოლო ზოგჯერ წესდების პირდაპირი დარღვევა და დამახინჯებაც. რაში გამოიხატებიან ისინი ჩვეულებრივად?. გვერდს უვლიან წესდებას, აიწყდებათ იგი კრების დასრულებისთანავე. პრილუკის რაიონში, უკრაინაში, შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ სამს წელს შეუცვლელად მუშაობს **ამხ. ტრუშკო** — კომუნისტი, ოცდახუთ-ათასელი. კოლმეურნეობა მისი ხელმძღვანელობით განმტკიცდა და 1934 წელს მიიღო 167 ათასი მანეთის შემოსავალი. და აი ახლა რაიკომი ხსნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და გადაყავს იგი სხვა სამუშაოზე. კოლმეურნეებს არ შეეკითხებიან, საერთო კრება არ მოუწვევიათ. თავმჯდომარის წასვლა გააფორმეს გამგეობის რამდენიმე წევრის თათბირზე. რა არის ეს, თუ არა წესდების უაღრესად უხეში დარღვევა?!

გვხვდება აგრეთვე სხვაგვარი ხასიათის დარღვევები და დამახინჯებანი. ამ მხრივ ტიპიურია არტელ „გროზას“ მაგალითი, რომლის შესახებაც ლაპარაკია სსრკ-ის მიწსახკომის და საკავშირო კ.პ.(ბ) ც. კ-ის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების დოკუმენტში. ბუდიონის რაიკომის და რაიაღმასკომის (ვორონეჟის ოლქი) გაზეთმა გამოაქვეყნა ამ კოლმეურნეობის წესდება როგორც რაიაღმასკომის რეგისტრაციაში გატარებული. მაგრამ რაღა წესდება იყო ეს? წესდებაში ამოშალათ ძირითადი და ურღვევი პუნქტები.

ან აი კიდევ დამახასიათებელი შეცდომა, ვორონეჟში გადაწყვიტეს, რეგისტრაციაში კი არ გაატარონ, არამედ დაამტკიცონ ხოლმე კოლმეურნეობაში მიღებული წესდება. განსხვავება თითქო მცირეა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, ნამდვილად კი წესდების დამტკიცება არსებითად ეს არის ადმინისტრირება. რადგან ასეთი წესის დროს კოლმეურნეობაში ბატონ-პატრონი ხდება რაიაღმასკომი, და არა კოლმეურნეები.

ავიღოთ ისეთი საკითხი, როგორიცაა საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა. ზოგიერთ მხარეში, კერძოდ, აზოვ-შავი ზღვის მხარეში დააწესეს საკარმიდამო მიწების მხოლოდ უდიდესი ოდენობა, ხოლო უმცირესი ოდენობა არ იყო აღნიშნული. თუმცა ამას სანიმუშო წესდება მოითხოვს. ცხადია, ამან მრავალი კოლმეურნის ინტერესები შელახა. ეს შეცდომა ახლა გამოსწორებულია. საკოლმეურნეო კომლებს, რომლებსაც რაიონისათვის დაწესებულ საზღვრულ ნორმებზე უფრო მეტი საკარმიდამო ნაკვეთები აქვთ, გარდამეტი საკარმიდამო მიწა ჩამოეჭრებათ; იმ კოლმეურნეებს, კი რომლებსაც საკარმიდამო ნაკვეთები სათანადო რაიონისათვის დაწესებულ უმცირეს ნორმაზე ნაკლები აქვთ, მიწა შეიძლება დაემატოთ ამ უმცირეს ნორმის შევსებამდე.

არ შეიძლება არ ითქვას პრესის შესახებაც. ადგილობრივი გაზეთები თანდათან ივიწყებენ წესდებას, ნაკლები სიმწვავით ებრძვიან მის დარღვევას, ზოგჯერ კი სრულიადაც ყრიან იარაღს. არტელ „გროზას“ შემცდარი წესდება ხომ ბუდიონის რაიონულ გაზეთში დაიბეჭდა! ეს ფაქტი გვაფრთხილებს, რომ ზოგიერთ გაზეთს სიფხიზლე დაუკარგავს, რომ კლასობრივი მტერი ცდილობს გამოიყენოს წესდება თავისი ინტერესებისათვის.

სოფლად ჯერ კიდევ მოიპოვებიან კულაკობის ნაშთები. ჯერ კიდევ არ სპობს ნიადაგი ახალი კაპიტალისტური ელემენტების აღმოცენებისათვის. აი ამიტომ ბოლშევიკური პრესის ბასრი კალამი კიდევ უფრო მეტი ძალით უნდა გმირავდეს მტრებს.

(„პრავდის“ სარედაქციო სტატიდან. 23/IV)

პარტიის მესამე ყრილობის XXX წლისთავი

ამხ. ემ. იაროსლავსკის წერილის დასასრული

მესამე ყრილობის მონაწილეები—„უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს" წევრები



გუსევი. ლიადოვი. ლიტვინოვი. ზემლიაჩკა. რუმიანცევი.

თო ყრილობა, 1905 წლის 11 თებერვალს სწერდა გუსევს და ბოგდანოვს; „რა საჭიროა თვალთმაქცობა და მალულობა... რაღაც კომედიაა!.. ჩვენ ან ნამდვილად რკინის ორგანიზაციით შევამჭიდროვებთ იმათ, ვისაც სურს ბრძოლა, და ამ პატარა, მაგრამ მტკიცე პარტიის საშუალებით შევუდგებით ახალისკრელთა" სხვადასხვა ...ის ელემენტთა ფხვიერ ვეშაპის ანადგურებას ანდა ჩვენის საქციელით დავამტკიცებთ, რომ თავ მსახურეთ დალუპვა, როგორც საზიზღარმა ფორმალისტებმა... ჩვენ გამოვაცხადეთ გათიშვა, ჩვენ ვიწვევთ ყრილობაზე ვპერიოდოველებს, ჩვენ გვსურს მოვაწყოთ ვპერიოდოველთა პარტია და ვწყვეტთ, დაუყოვნებლივ ვწყვეტთ, ყველა და ყოველგვარ დამოკიდებულებას დეზორგანიზატორებთან,—ჩვენ კი გვეჩიჩინებიან ლოიალობაზე, თავს იკატუნებიან, თითქოს შესაძლებელი იყოს „ისკრას" და „ვპერიოდის" საერთო ყრილობა... და თუ ჩვენ არ გვინდა ვუჩვენოთ მსოფლიოს უსაზიზღრესი ნიმუში გამხმარი და ანემიური ხანგადასული ქალწულისა, რომელიც ამაყობს თავისი უნაყოფო მორალური სიწმინდით, —უნდა მივხვდეთ, რომ ჩვენ გვესაჭიროება ომი და სამხედრო ორგანიზაცია".

მესამე ყრილობა მოწვეულ იქნა 1905 წლის აპრილის დამლევს, როცა რუსეთის რევოლუციური მოძრაობა შემდგომ საფეხურზე ავიდა. მართალია, ამბები ისე მკაფიოდ არ ვითარდებოდა, როგორც 1905 წლის შემოდგომაზე, მაგრამ ჩვენ უკვე გვქონდა 1905 წლის სისხლიანი კვირა და მუშათა და გლეხთა მოძრაობის ფართოდ გაშლა მის შემდეგ. ჯავშნოსან „პოტიომკინის" აჯანყებამ ცხადყო რევოლუციური ტალღის ახალი აზვირთება, ვინაიდან ეს იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი: მთელი სამხედრო ნაწილი აღსდგა ცარიზმის წინააღმდეგ, მუშურ-გლეხური მოძრაობა მომხრეებს პოულობდა არმიასა და ფლოტში. ამიტომ მესამე ყრილობამ თავის დღის წესრიგში დასვა რევოლუციური მოძრაობის მოახლოვებასთან დაკავშირებული საკითხები. მოძრაობა, უწინარეს ყოვლისა, ახალ ნაბიჯს დგამდა წინ. მესამე ყრილობის დამსახურება ისაა, რომ მან ორგანიზაციულად ჩამოაყალიბა ბოლშევიკური პარტია და მიიღო წესდება, რომელიც წარმოადგინა ლენინმა ჯერ კიდევ მეორე ყრილობაზე. ეს წესდება შემდეგ საფუძვლად დაედვა კომუნისტური ინტერნაციონალის წესდებას. ყრილობის მოწვევის ამოცანა ლენინმა ჩამოაყალიბა, როგორც „პარტიის დაარსების" ამოცანა. „საჭიროა, — წერდა იგი გაზეთ „ვპერიოდში" — დაუყოვნებლივ მოვიწვიოთ ყველა იმ პარტიული მუშაკთა ყრილობა, რომლებსაც სურთ პარტიის დაარსება. არ უნდა დავკმაყოფილდეთ დაყოლიებით და დარწმუნებით, არამედ პირდაპირი და ურყევი ულტიმატუმი უნდა წავუყენოთ ყველა მერყევს, ყველა მოქანავეს, არადაჯერებულებს და დაეჭვებულებს: ირჩიეთ! ჩვენი გაზეთის პირველი ნომრით დაწყებული ჩვენ კიდევ ვაყენებდით ამ ულტიმატუმს „ვპერიოდის" რედაქციის სახელით, როგორც პარტიული მუშაკთა მთელი იმ მასის სახელით, რომლებიც უსაზღვროდ გააბოროტეს დეზორგანიზატორებმა. სწრაფად გააძევეთ ისინი, ამხანაგებო და მოჰკიდეთ ხელი შეთანხმებულ ორგანიზაციულ მუშაობას! სჯობს ასეული რევოლუციური სოციალ-დემოკრატი, რომლებსაც მიუღიათ ორგანიზაცია—გეგმა, ვიდრე ათასი ინტელიგენტი ტრიაპიჩკინები, რომლებიც ლაყბობენ ორგანიზაცია-პროცესზე"!. (ტ. 7. გვ. 129).

ყრილობამ დაავალა ყველა პარტიულ ორგანიზაციას „პროპაგანდის და აგიტაციის გზით, განუმარტოს პროლეტარიატს მომავალი შეიარაღებული აჯანყების არა მარტო პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ პრაქტიკულ-ორგანიზაციული მხარეც; გამოარკვიოს ამ პროპაგანდის და აგიტაციის დროს იმ მასობრივი პოლიტიკური გაფიცვების როლი, რომლებსაც შეიძლება დიდი მნიშვნელობა ექნეთ აჯანყების დასაწყისსა და მის მიმდინარეობაში; უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ პროლეტარიატის შეიარაღებლად, აგრეთვე აჯანყების და მისთვის ხელმძღვანელობის გაწევის გეგმა, შესამუშავებლად, როცაც საჭიროების მიხედვით შექმნან განსაკუთრებული ჯგუფები პარტიული მუშაკებისაგან" („საკ. კ.პ. (ბ) რეზოლუციით", ტ. I, გვ. 46).

პარტია აჯანყების იდეის მარტო პროპაგანდით როდი ეწეოდა. იგი პრაქტიკულ ნიადაგზე აყენებდა პროლეტარიატის შეიარაღებას. პარტიამ შექმნა სამხედრო მებრძოლი ორგანიზაციები, დაიწყო იარაღის შეძენა, მისი მოტანა, ამზადებდა ასაფეთქებელ ყუმბარებს შეიარაღებული აჯანყებისათვის იმ დროს, როცა მენშევიკები ლაყბობდენ მუშების შეიარაღებაზე „თვითშეიარაღების მძაფრი მისწრაფებით". ლიტვინოვი მაშინ ერთ-ერთ წერილში დასცინოდა მენშევიკებს: ჩვენთან შედარებით ისინი ძალიან ბედნიერ მდგომარეობაში იმყოფებიან, ვინაიდან „თვითშეიარაღების მძაფრი მისწრაფების" გამოსახატავად საჭირო არ არის ისეთი საშუალებანი, როგორიც საჭიროა იარაღის გადმოსატანად. ბოლშევიკების მიერ პირველი რევოლუციის დროს არმიასა და ფლოტში შექმნილმა სამხედრო ორგანიზაციებმა უდიდესი როლი ითამაშეს არა მარტო 1905 წლის აჯანყებაში. ამ ორგანიზაციებმა უეჭველად მისცეს ბოლშევიკებს საშუალება დაეგროვებინათ სამხედრო გამოცდილება, რომელიც მათ 1917 წელს გამოადგათ. შეიარაღებულ აჯანყებას მით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მენშევიკები საცინლად იგდებდენ აჯანყების მოწყობის იდეას: აჯანყებას კი არ ამზადებენ, კი არ აწყობენ, არამედ იგი სტიქიურად ხდება,—ამბობდა ტროცკი პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს პროცესზე.

დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ III ყრილობაზე დაისვა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის საკითხი. ნუ დაგვავიწყდება, რომ საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას დასავლეთ ევროპის სოციალ - დემოკრატები მაშინ უარყოფითად ეკიდებოდნენ. ცნობილია, რომ გერმანელმა მენშევიკმა აუერმა ასეთი აზრი გამოთქვა: საყოველთაო გაფიცვა — ეს საყოველთაო უაზრობაა. თუ კი შესაძლებელი იქნება საყოველთაო გაფიცვა, რომ ვაიძულოთ კაპიტალისტები წავიდნენ ამა თუ იმ დათმობაზე,—ამბობდა აუერი,—მაშინ შესაძლებელი იქნება რევოლუციაც, ხოლო თუ რევოლუციის მოხდენა შეიძლება, მაშინ რაღა საჭიროა საყოველთაო გაფიცვაო. მემარცხენე სოციალ - დემოკრატები ჰენრიეტა, როლანდჰოლსტი, როზა ლუქსემბურგი ძალიან არათანამიმდევრობით იცავდენ გაფიცვის იდეას. ყოველ შემთხვევაში მათ არ ესმოდათ, რომ საჭირო იყო გაფიცვის გადაქცევა შეიარაღებულ აჯანყებად. მესამე ყრილობაზე საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის საკითხი ბოლშევიკებმა დააყენეს. როგორც ბრძოლის ისეთი საშუალება, რომელიც შეიძლება შეიარაღებული აჯანყების საფეხურად იქცეს. განა შემდგომი რევოლუციის მიმდინარეობაში არ დადასტურდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის ეს ბოლშევიკური პოლიტიკური შეფასება? მეორე საკითხი, დასმული ყრილობაზე — ეს იყო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში პროლეტარიატის პარტიის მონაწილეობა დროებით რევოლუციურ მთავრობაში. რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ინტერესებისათვის ბოლშევიკებს მაშინ შესაძლებლად მიაჩნდათ მონაწილეობა მიეღოთ დროებით რევოლუციურ მთავრობაში, როგორც ძლევამოსილი სახალხო აჯანყების ორგანოში. ასეთი დროებითი მთავრობა იქნებოდა პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურა. პროლეტარიატის მხრით ასეთ მთავრობაში მონაწილეობაზე უარის თქმა, ხელს შეუწყობდა მხოლოდ ბურჟუაზიას, ვინაიდან მაშინ გლეხობის ხელმძღვანელი შეიქმნებოდა არა პროლეტარიატი, არამედ ბურჟუაზია. მაგრამ ვინაიდან მენშევიკები ფიქრობდენ, ბურჟუაზიულ რევოლუციას ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს ბურჟუაზიაო, მათ გაილაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ პროლეტარიატს მონაწილეობა მიეღო დროებით მთავრობაში. 1917 წლის ისტორიამ დაგვანახვა, რომ მენშევიკები მონაწილეობას ღებულობდნენ ბურჟუაზიული დიქტატურის მთავრობაში პროლეტარიატის, გლეხობის წინააღმდეგ.

ყრილობამ მოგვცა გლეხური მოძრაობის რევოლუციური პროგრამა, მოითხოვა მემამულეთა, სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო მიწების კონფისკაცია, გლეხთა რევოლუციური კომიტეტების მოწყობა, რომლებიც ადგილებზე უნდა ყოფილიყვნენ რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები მემამულეთა მიწების ხელში ჩასაგდებად და გასანაწილებლად. იმავე დროს პარტია არ ივიწყებდა, რომ იგი ყველა შემთხვევაში, ყოველ გარემოებაში „გამუდმებით უნდა მიისწრაფოდეს სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებლად დარაზმვისაკენ და განუმარტავდეს მას მისი ინტერესების შეურიგებელ წინააღმდეგობას გლეხური ბურჟუაზიის ინტერესებთან" („საკ.კ.პ.(ბ) რეზოლუციებით", ტ. 1, გვ. 49).

ამხ. მიხა ცხაკაია (1905 წ.)
რომელმაც გახსნა პარტიის მე-III ყრილობა

მესამე ყრილობამ განსაზღვრა ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკა ლიბერალური ბურჟუაზიის მიმართ. ყრილობამ პარტიის წინაშე ამოცანად დასახა ლიბერალების ნახევრულა, შემთანხმებლური პოზიციების მხილება, პარტიის რევოლუციური ლოზუნგების დაპირისპირება ცარიზმთან შეთანხმების ლიბერალური ლოზუნგისადმი. ამბების მთელმა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა ლიბერალებისადმი იმ უნდობლობის სისწორე, რომელსაც იცავდა ლენინი ლიბერალიზმთან ბლოკის დამცველ მენშევიკების წინააღმდეგ.

კავკასიაში მომხდარი ამბების გამო ყრილობამ განსაკუთრებული რეზოლუცია გამოიტანა, მხურვალე მისალმება უძღვნა კავკასიის გმირულ პროლეტარიატს და გლეხობას; მან ცენტრალურ კომიტეტს და ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა, რაც შეიძლება ფართოდ გაევრცელებინათ ცნობები კავკასიაში საქმის მდგომარეობის შესახებ. ყრილობა მიესალმა პოლონეთის მოძმე პროლეტარიატის სიმამაცეს და გაბედულებას ვარშავასა და ლოძში მომხდარ, რევოლუციურ ამბებთან დაკავშირებით.

ასეთია პარტიის მესამე ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომი რევოლუციური ამბების განვითარებისთვის. პარტიამ დაიწყო ბრძოლა, მესამე ყრილობის შემდეგ ორგანიზაციულად განმტკიცებულმა და ნათლად დასახული ტაქტიკური გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა. მან საბრძოლო პასუხი გასცა რუსეთის რევოლუციის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ამ გადაწყვეტილებათა შესწავლა ოქტომბრის შემდგომი პერიოდის რევოლუციური მოვლენების თვალსაზრისით, მოწმობს, რომ გენერალურმა რეპეტიციამ, როგორიც 1905 წლის რევოლუცია იყო, რუსეთის პროლეტარიატს, საერთაშორისო პროლეტარიატს ასე ბევრი რამ სწორედ იმიტომ მისცა, რომ ის რეპეტიცია ხდებოდა ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, იმ პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც შეიარაღებული იყო მესამე ყრილობის გადაწყვეტილებებით. ამიტომ პარტიის მესამე ყრილობა მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორიაში შევიდა, როგორც ბოლშევიკური პარტიის პირველი ყრილობა, როცა ბოლშევიკები შეიკრიბნენ მარტონი, უმენშევიკებოდ, როცა მათ გამოიტანეს თავისი ბოლშევიკური გადაწყვეტილებანი, რომლებითაც შეიარაღდა პროლეტარიატი თანმიმდევრობითი რევოლუციური ბრძოლისათვის. მესამე ყრილობა შევიდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში. როგორც ისეთი ყრილობა, რომელმაც მოამზადა პარტია იმისათვის, რომ მას ხელმძღვანელობა გაეწია მუშებისა და გლეხების პირველი აჯანყებისათვის მეფის, მემამულეების, კაპიტალისტების წინააღმდეგ.

(მოსკოვი, 23/IV საკ. კორ.).

„სტალინი და ხაშიმი"

მოსკოვი, 22 აპრილი (საკ. კორ.). „იზვესტიაში" დაიბეჭდა ამხ. იაროსლავსკის სტატია წიგნზე—„სტალინი და ხაშიმი". ეს წიგნი გამოცემულია სოხუმში აფხაზეთის პარტგამომცემლობის მიერ.

ამ წიგნის წინასიტყვაობაში, — წერს ამხ. იაროსლავსკი, — ნესტორ ლაკობა აღნიშნავს, რომ ამხ. სტალინის ცხოვრება, როგორადაც ლენინის ცხოვრება, უმჭიდროესადაა დაკავშირებული მუშათა და გლეხთა მრავალმილიონიან მასებთან, რომელთა ბელადიც იგი არის. ამიტომაა, რომ სტალინის ბიოგრაფიის ნაწილებს ჩვენ ვეძებთ იმნაირ ვიწრო ხევულებში, რომლებსაც გლეხი ხაშიმ სმირბას ქოხისაკენ მივყევართ. ხაშიმის ქოხი შემთხვევითი ნახევარსადგური როდია ამხ. სტალინის ცხოვრებაში. ისე, როგორც არ არის შემთხვევითი ლენინის 1917 წლის ქოხი, რომელსაც პიტერელი მუშები იცავდენ.

ამხ. სტალინი სწორედ იმითაა ძლიერი, რომ იგი მასასთან გარედან, გამარჯვებათა შემდეგ კი არ მისულა, არამედ მივიდა ჯერ კიდევ მუშათა მოძრაობის განთიადზე და შემდეგ რეაქციის უაღრესად შავბნელ წლებშიც მასასთან იყო, ცხოვრობდა და მუშაობდა ამ მშრომელი მასების შიგ შუა გულში.

ამ პატარა წიგნაკში მოთხრობილია ამიერ - კავკასიაში ორგანიზებული მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები. მეოცე საუკუნის დამდეგს ეს მოძრაობა ვითარდება პირველი მარქსისტული წრეების და პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომლებშიაც 1897 წლიდან მონაწილეობას ღებულობს ამხ. სტალინი. იმის გამო, რომ მას აქვს მასებისათვის გასაგები და ახლობელი ენის გამონახვის უნარი, ორგანიზატორული ნიჭი, შეურყეველი სიმტკიცე რევოლუციური მარქსიზმის ხაზის დაცვაში ოპორტუნისტების, მენშევიკების — ნოე რამიშვილის და სხვ., დაშნაკების, ანარქისტების წინააღმდეგ. — მან მალე დაიმსახურა პატივისცემა და ავტორიტეტი თავის ამხანაგებს შორის, რომელთაგან ზოგიერთი წლოვანებით მასზე უხნესი იყო. სწორედ ამ თვისებების მეოხებით ამხ. სტალინი ხდება მოძრაობის სული და გული, ორგანიზატორი, თეორეტიკოსი, ბელადი. უკვე ამ პირველ წლებში, როცა ამიერ-კავკასიაში მოეწყო ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, თვალწინ გვეხატება ახალგაზრდა, პროფესიული რევოლუციონერის სახე, რომელსაც უკვე უგემია, რევოლუციური ბრძოლის ალტყინება.

შემდეგ ამხ. იაროსლავსკი წერს: ამხ. სტალინი გამარჯვების რწმენას უნერგავს მუშათა და გლეხთა მასებს, რომლებიც ეს ეს არის ეზიარებიან პოლიტიკურ ცხოვრებას. მისთვის ნაცნობია მასების ინტერესები. მათთვის იგი ღვიძლი „სოსოა". მას აპატიმრებენ, მაგრამ იგი საპატიმროშიაც ხელმძღვანელობს პოლიტიკურ პატიმართა პროტესტს, იბრძვის იმისათვის, რომ არსებობის ადამიანური პირობები შეუქმნას მეფის მთავრობის საპატიმროებში გამომწყვდეულთ, რათა შეინარჩუნოს შემდგომი ბრძოლისათვის საჭირო ძალები. მას ციმბირში ჰგზავნიან, მაგრამ იგი დიდხანს არ რჩება მეფის ტყვედ, გამოქცევის შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება პოლიტიკურ ბრძოლას. საჭირო ხდება არალეგალური სტამბის და თვით ამხ. სტალინის დამალვა. უბრალო აფხაზი გლეხი ხაშიმი ხალისით კისრულობს ამ საქმეს და მას ხილით და ბოსტნეულით სავსე კალათით თვითონ გადააქვს ამხ. სტალინის მიერ შედგენილი და დაბეჭდილი ფურცლები.

არალეგალური პარტიული ორგანიზაცია მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ იგი წარმოადგენდა პროლეტარიატის რევოლუციური ავანგარდის ორგანოს, იგი მტკიცე იყო მუშებსა და გლეხებთან კავშირით. მისი ძალა ერთი-ასად აღემატებოდა მის რიცხვს, სწორედ იმით, რომ მთელს ქვეყანაში იგი დაკავშირებული იყო მრავალ მილიონ ხაშიმებთან; იგი ძლიერი იყო იმით, რომ მას სათავეში უდგნენ ისეთი ადამიანები, როგორიც ლენინი და სტალინი.

მასებთან ამ მტკიცე კავშირის და ამხ. **სტალინის** მუშაობის ამბავი მოთხრობილია აფხაზეთის პარტგამომცემლობის ამ მცირე ნაშრომში, სადაც მოყვანილია პარტგამომცემლობის მიერ სიყვარულით შეკრებილი ცნობები ამხ. **სტალინის** ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ.

ამ პატარა წიგნაკს ინტერესით წაიკითხავს არა მარტო ჩვენი ახალგაზრდობა, არამედ პარტიის თვითეული წევრიც.

მარცვლეული კულტურების თესვა 25 აპრილისათვის

20 აპრილისათვის რესპუბლიკაში დათესილია 230.365 ჰექტარი, რაც შეადგენს გეგმის 36 პროცენტს, შარშან ამ დროისათვის კი შესრულებული იყო გეგმის 34 პროცენტი.

საქართველოს რაიონებმა დაამთავრეს შაქრის ჭარხლის თესვა, დათესეს 5071 ჰექტარი გეგმით გათვალისწინებული 5000 ათასი ჰექტარის ნაცვლად. დამთავრდა აგრეთვე მზესუმზირას თესვა, გეგმა შესრულებულია 110,3 პროცენტით.

ცალკე რაიონებში დაიწყო ეთეროვანი კულტურების თესვა; წარმოებს არახისის თესვა. დათესილია 151 ჰექტარი ანუ გეგმის 25 პროცენტი.

დაგვიანებით დაიწყო თესვა აჭარისტანში, დათესილია 1172 ჰექტარი — გეგმის 5,5 პროცენტი. (ადს).

პ. ბუტირინა

ბოლშევიზმის ისტორიული გამარჯვების წლისთავი

1905 წლის 25 აპრილს ლონდონში გაიხსნა პარტიის მესამე ყრილობა — პირველი ბოლშევიკური ყრილობა.

იმ დროს რუსეთის რევოლუცია აღმავალი გზით მიდიოდა, მასობრივი რევოლუციური მოძრაობის სწრაფი ზრდა პარტიის წინაშე მთელი სიმწვავით აყენებდა რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობის და ამ რევოლუციაში პროლეტარიატისათვის ჰეგემონის როლის უზრუნველყოფის ამოცანებს.

ბოლშევიკურ ყრილობას უნდა შეემუშავებია სტრატეგია და ტაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა გამარჯვებას ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლუციაში და წარმატებით გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. სწორედ ამ ამოცანების გადაჭრა შეადგენდა ყრილობის დაძაბული მუშაობის შინაარსს. მაგრამ III ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა არ ამოიწურება მის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრით, მისი სიდიადე აგრეთვე მდგომარეობდა იმაში, რომ იგი მოასწავებდა ლენინიზმის გამარჯვებას მენშევიზმ - ტროცკიზმზე. მენშევიკებთან და ტროცკისთან მკაცრ ბრძოლაში გამობრძმედილი ყრილობა მოასწავებდა ძველი „ისკრის" იდეის გამარჯვებას, ბოლშევიზმის გამარჯვებას.

ყრილობის გახსნას წინ უძღოდა **ლენინ - სტალინის** მეთაურობით ბოლშევიკების გააფთრებული ბრძოლა მენშევიკებთან, რომლებმაც უარყვეს მე-2 ყრილობის გადაწყვეტილებანი და რომლებიც იცავდენ „ეკონომიზმის" პრინციპებს.

უშუალოდ II ყრილობის შემდეგ მისი გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო მენშევიკებმა დაიწყეს ალვირახსნილი კამპანია ყრილობის მიერ არჩეული ორგანოების და მის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. რუსეთის საზღვარგარეთულ სოციალდემოკრატიულ ჯგუფების ყრილობაზე მათ გაიყვანეს რეზოლუცია, რომელიც უნდობლობას უცხადებდა II ყრილობის მიერ არჩეულ ბოლშევიკურ ც. კ-ს.

მენშევიკების მხარეზე საბოლოოდ გადაბარგდა პლეხანოვიც, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ „ისკრის" რედაქციაში კოოპტაციის წესით შეეყვანათ რედაქციის ძველი წევრები, რომლებიც არ იყვნენ არჩეული ყრილობის მიერ. პლეხანოვის ხაზს ლენინი სთვლიდა ყრილობის ნება-სურვილის დარღვევად და იგი გამოვიდა „ისკრის" რედაქციის შემადგენლობიდან, რათა გამაგრებულიყო ცენტრალურ კომიტეტში და ეწარმოებია ბრძოლა მენშევიკთა დანაშაულებრივი საქმიანობის წინააღმდეგ.

პლეხანოვმა რედაქციაში მიიწვია მენშევიკები (მარტოვი, აქსელროდი, პოტრესოვი, ზასულიჩი) და გადააქცია „ისკრა" მენშევიკურ ორგანოდ. ამგვარად, ახალი „ისკრა" გადაიქცა მენშევიკების პლაცდარმად ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ლენინმა, რომელიც მენშევიკების საქციელს სთვლიდა ფრაქციულ ბრძოლად, მეორე ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი დაუმორჩილებლობად, უკვე 1903 წ. დამლევს დასვა საკითხი III ყრილობის მოწვევის შესახებ. ც. კ-ის წევრებისათვის გაგზავნილ წერილში ლენინი წერდა: „ხსნა ერთია — ყრილობა. მისი ლოზუნგი: ბრძოლა დეზორგანიზატორების წინააღმდეგ".

1903 წლის სექტემბერში მენშევიკებმა მარტოვის და ტროცკის მეთაურობით მოაწყვეს კონფერენცია, რომელზედაც ჩამოაყალიბეს ფარული ორგანიზაცია და გამოყვეს საკუთარი ბიურო. მენშევიკებმა, რომლებიც არ კმაყოფილდებოდენ ბრძოლით ხელმძღვანელი ორგანოებისათვის, დაიწყეს მუშაობა ადგილობრივი კომიტეტების დასაპყრობადაც. ადგილებზე გზავნიდენ სპეციალურ აგენტებს ბოლშევიკების დისკრედიტაციის და ძირეულ ორგანიზაციებში თავიანთი პოზიციების განმტკიცების მიზნით. II ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტი შეიქნა შემარიგებლური, იგი ერთი მეორეზე უთმობდა პოზიციებს მენშევიკებს და კოოპტაციის წესით შეყავდათ თავის შემადგენლობაში შემარიგებლები და მენშევიკები. ხელმძღვანელ ორგანოებში გამაგრების შემდეგ, მენშევიკებმა დაიწყეს გააფთრებული კამპანია ბოლშევიკების წინააღმდეგ. ახალი „ისკრის" ფურცლები ავსილი იყო ლენინსა და ბოლშევიკებზე ყოვლად საზიზღარი ცილისწამებით და გალაშქრებით. განსაკუთრებულ გულმოდგინეობას იჩენდა ტროცკი თავისი უშვერი სტატიებით.

მალე „ისკრის" ჩარჩოებმა ვერ დაიტიეს ტროცკის პირწავარდნილი ოპორტუნიზმი და ცილისწამებლური თავდასხმები და მან გამოუშვა სპეციალური ბროშურა „ჩვენი პოლიტიკური ამოცანები". ამ ბროშურაში, რომელიც მან „ძვირფას მასწავლებელს აქსელროდს" მიუძღვნა, ტროცკიმ მოგვცა იდეურ - ორგანიზაციული და ტაქტიკური ოპორტუნიზმის გაშლილი პროგრამა.

ბროშურა აღსავსე იყო ყოვლად უმსგავსო გალაშქრებით ბოლშევიკების (ლენინის) წინააღმდეგ.

თავდაპირველად ლენინი ცდილობდა ყრილობის მოწვევას ც. კ-ის მეშვეობით, მაგრამ, როცა ც.კ-ი მენშევიკების ხელში გადავიდა, ლენინმა დაიწყო ბრძოლა ყრილობისათვის დაბლიდან, პარტიული მასების საშუალებით.

მენშევიკების საზიზღარი ცილისწამების და უტიფარი გამოსვლების ატმოსფეროში ბოლშევიკები მტკიცედ და განუხრელად იბრძოდენ III ყრილობის მოსაწვევად.

ამ დაძაბულმა ბრძოლამ მალე გამოიღო დადებითი შედეგები. 1904 წლის თებერვლიდან ადგილობრივმა კომიტეტებმა იწყეს ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ გამოტანილი რეზოლუციების გზავნა. ლენინმა, რომელსაც მხარს უჭერდენ რუსეთის მსხვილი სამრეწველო ცენტრების ადგილობრივი კომიტეტები, 1904 წლის აგვისტოს ჟენევაში გახსნა ბოლშევიკური კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 22 მტკიცე ბოლშევიკი. კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია, რომელიც მოუწოდებდა პარტიას გაეწყვიტა კავშირი ცენტრალურ კომიტეტთან და ცენტრალურ ორგანოსთან და გაეჩაღებია ბრძოლა III ყრილობისათვის. სამ.-ჩრდილოეთის, სამხრეთის და კავკასიის კონფერენციაზე არჩეულ იქნა უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო, რომლის ამოცანას წარმოადგენდა III ყრილობის მოწვევა და პარტიული კომიტეტების დარაზმვა ლენინური ხაზის გარშემო. 1904 წლის დეკემბრიდან იწყო გამოსვლა ბოლშევიკურმა ორგანომ „ვპერიოდმა". რომელიც იცავდა ძველი „ისკრის" ხაზს და ამხელდა მენშევიკებს.

გაზეთი „ვპერიოდი", რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა, წარმოადგენდა ბოლშევიზმის დროშას ისეთი მტკიცე მებრძოლი პარტიის შესაქმნელად, რომელსაც შეეძლო რევოლუციური პროლეტარიატის წაყვანა გადამწყვეტ ბრძოლაში.

ამხ. გუსევისადმი გაგზავნილ წერილში **ლენინი** წერდა:

„ჩვენ გამოვაცხადეთ გათიშვა, ჩვენ ვიწვევთ ყრილობაზე **ვპერიოდელებს,** ჩვენ გვინდა მოვაწყოთ **ვპერიოდელთა** პარტია და ვწყვეტთ, დაუყოვნებლივ ვწყვეტთ, ყველა და ყოველგვარ დამოკიდებულებას დეზორგანიზატორებთან.... და თუ ჩვენ არ გვინდა ვუჩვენოთ ქვეყანას უსაზიზღრესი ნიმუში გამხმარი და ანემიური ხანგადასული ქალწულისა, რომელიც ამაყობს თავისი უნაყოფო მორალური სისპეტაკით, ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ გვესაჭიროება ომი და სამხედრო ორგანიზაცია" *).

ლენინის ხელმძღვანელობით შექმნილი ეს მებრძოლი სამხედრო ორგანიზაცია III ყრილობას უნდა შეეიარაღებია საბრძოლო სტრატეგიითა და ტაქტიკით.

ამიერ-კავკასიაში III ყრილობისათვის ბრძოლა წარმოებდა ლენინის ხელმძღვანელი გავლენით და 1904 წლის დასაწყისში გადასახლებიდან გამოქცეული ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

II ყრილობის შემდეგ კავკასიის მენშევიკებმა ნ. ჟორდანიას მეთაურობით, აგრეთვე შემთანხმებლური ც. კ-ის სპეციალურ რწმუნებულთა დახმარებით დაიწყეს გააფთრებული ბრძოლა ბოლშევიკებისა და მესამე ყრილობის იდეის წინააღმდეგ. კავკასიაში, ისე როგორც სხვა ადგილებში, მენშევიკები არ ჩერდებოდენ ლენინისა და ბოლშევიკების მიმართ ყოვლად საზიზღარი დემაგოგიური გამოსვლების წინაშე. მათი დეზორგანიზატორული მუშაობა თავის მწარე ნაყოფს იძლეოდა აქ. როგორც ადგილობრივი მენშევიკების, ისე ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულთა ცილისწამების მეოხებით, კავკასიის კომიტეტები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლასა და მესამე ყრილობის მოწვევაში, ერთბაშად როდი დასდგომიან სწორ პოზიციებს. მათი ხაზი გამოსწორდა მხოლოდ **ლენინის** ხელმძღვანელი მითითებების და ამხ. **სტალინის** მეთაურობით ადგილობრივი მტკიცე ბოლშევიკების შეუპოვარი ბრძოლის შედეგად.

ლენინის ეჭვები კავკასიაში მდგომარეობის შესახებ აშკარად გამოიხატებოდა კრუპსკაიას წერილებში. კრასინისათვის (რომელიც მაშინ კავკასიაში მუშაობდა) გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „ჩვენ მივიღეთ იმ 9 კომიტეტის რეზოლუციები, რომლებიც გმობენ უმცირესობის დეზორგანიზატორულ ცდებს. ხოლო კავკასია კი რატომ სდუმს?... მოგვწერეთ უფრო დაწვრილებით, როგორ არის მანდ საქმე, ძლიერია თუ არა უმცირესობა. დაე, კომიტეტებმა, თუ კი ისინი ჩვენია, მალე გზავნონ რეზოლუციები. რუსეთში საშინელი გარეყვნილება დაიწყო. ამის ბოლოს მოღება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ უახლოეს დროში მოწვეული იქნება ახალი ყრილობა. საინტერესოა თუ არა კავკასია?"

ეს ეჭვები უსაფუძვლო როდი იყო. მენშევიკების (ცილისწამებლური) მუშაობამ და მაშინდელი ც. კ-ის მოქმედებამ გამოიწვია ის, რომ კავკასიის კომიტეტები ერთხანს მერყეობდნენ. კავკასიის კომიტეტების შემცდარი ხაზი გასწორებულ იქნა ლენინის წერილის მიღების შემდეგ, რომელშიაც მან მოიყვანა ცენტრალური კომიტეტის მამხილებელი დოკუმენტები, აგრეთვე იმ დაძაბული ბრძოლის შემდეგ, რომელსაც ამხ. სტალინი აწარმოებდა ლენინის ხაზისათვის.

ერთ წერილში საკავშირო კომიტეტისადმი (1904 წ. 2 დეკემბერი) ლენინი წერდა:

„თქვენ ჯერ კიდევ სრულიადაც არ იცნობთ საბჭოს და ც. კ-ის ყველა არგუმენტს და მთელს სისაძაგლეს. სულ მცირე ეჭვიც კი არ არის, რომ მათ უკვე ჩაშალეს III ყრილობა და ახლა გათიშავენ ყველა კომიტეტებს!!"

ამხილებდა რა ც. კ-ს, ლენინი დაჟინებით მოუწოდებდა გადაეცათ ყველა საქმე ყრილობის შესახებ უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროსათვის. რაც უფრო აშკარავდებოდა ც. კ-ის შემთანხმებლობა და გამცემლური როლი, მით უფრო აღწევდენ თავს კავკასიის კომიტეტები თავის უკანასკნელ მერყეობას და მტკიცედ დგებოდენ ლენინურ პოზიციებზე.

1904 წლის სექტემბერში კავკასიის კავშირმა ტფილისის კომიტეტთან ერთად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც საჭიროდ იყო ცნობილი „შეუერთდეს იმ 22 ამხანაგის რეზოლუციას, რომლებმაც მოაწყვეს II პარტიული ყრილობის უმრავლესობის თანამოაზრე - მომხრეთა კერძო თათბირი და უნდობლობა გამოუცხადოს ცენტრალური კომიტეტის მომხრეთა უმრავლესობას უმცირესობისადმი დათმობის პოლიტიკისათვის, ასეთი პრაქტიკა ჩაითვალოს სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომად, რომლის მეოხებით პარტიის პრაქტიკული ცენტრიც (ც. კ.) გადადის საზღვარგარეთული წრის — პარტიის დეზორგანიზატორების ხელში".

იმერეთ - სამეგრელოს კომიტეტმაც (1904 წლის სექტემბერში) მიიღო რეზოლუცია „22"-ის მოწოდებისადმი შეერთების და იმის შესახებ, რომ საჭიროა III ყრილობის მოწვევა უახლოეს მომავალში.

წარმატებით ბრძოლამ ყრილობისათვის საშუალება მოგვცა აგიტაციიდან გადავსულიყავით ყრილობის მომწვევი ცენტრის პრაქტიკულად შექმნაზე. ამ მიზნით (1904 წლის ნოემბერში) მოწვეულ იქნა კავკასიის კომიტეტების კონფერენცია — ტფილისის, ბათომის, ბაქოს და იმერეთ - სამეგრელოს კომიტეტების შემადგენლობით.

1905 წლის იანვარში ამხ. სტოპანიმ ლენინისადმი გაგზავნილ წერილში უკვე აღნიშნა სრული ერთსულოვნება კავკასიის კავშირში. ლენინური ხაზის ეს გამარჯვება კავკასიაში უზრუნველყოფილ იქნა ამხ. **სტალინის** მხრივ მენშევიზმთან ბრძოლის უშუალო ხელმძღვანელობით.

„არ შეიძლება მოვიყვანოთ არც ერთი ცოტადთუბევრად მნიშვნელოვანი ფაქტი ლენინური ხაზისათვის ბრძოლის ისტორიიდან, რომელიც არ იყოს გამსჭვალული ამხ. **სტალინის** აზრით და ხებისყოფით". *).

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ (1904 წლის იანვარში) ამხ. სტალინი დგება საკავშირო კომიტეტის სათავეში და მეთაურობს გააფთრებულ ბრძოლას მენშევიზმთან ძველი „ისკრის" პრინციპებისათვის, რომლის იდეებსაც იგი ყოველნაირად იცავდა და ცხოვრებაში ატარებდა ჯერ კიდევ გადასახლებამდე.

აკუთვნებს რა უდიდეს როლს ბოლშევიზმისათვის ბრძოლის საქმეში როგორც სიტყვიერ, ისე წერილობითს აგიტაციას და პროპაგანდას, ამხ. **სტალინი** უშუალოთ ხელმძღვანელობს საკავშირო კომიტეტის საპროპაგანდო და სარედაქციო კოლეგიას. მისი უშუალო მონაწილეობით ფართოვდება საკავშირო კომიტეტის სტამბა (ავლაბრის სტამბა), სადაც იბეჭდება საკავშირო კომიტეტის ყველა გამოცემა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

ამხ. სტალინი სისტემატიურად დაიარება რაიონებში, სადაც ამტკიცებს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს და მუსრს ავლებს მენშევიკებს სპეციალურად მოწყობილ სადისკუსიო კრებებზე.

იმ დროს მენშევიკებმა თავის საუკეთესო ძალებს თავი მოუყარეს დასავლეთ საქართველოში: ჭიათურასა, ქუთაისში, ბათომში, ამხ. სტალინი მიდის იქ, რათა ამხილოს მენშევიკები და განამტკიცოს ბოლშევიკური ორგანიზაციები.

ზაფხულის დასაწყისში (1904 წ.) ამხ. **სტალინი** ჩადის ჭიათურაში და აძლიერებს ჭიათურის ორგანიზაციას ახალი მუშაკებით. შემოდგომიდან იგი ხშირად ჩადის ჭიათურაში და უშუალოდ ხელმძღვანელობს ბოლშევიკურ ორგანიზაციის მუშაობას.

ჭიათურის რაიონში ამხ. სტალინი აწყობდა სხვადასხვა მაღაროს მოწინავე მუშების და პროპაგანდისტების კრებებს, სადაც მართავდა დისკუსიებს მენშევიკებთან. სოფ. ღვიმევში ამხ. სტალინი გამოვიდა მენშევიკების წინააღმდეგ დიდ სადისკუსიო კრებაზე, რომელსაც დაესწრო 500-დე მუშა. კრებამ მიიღო ამხ. **სტალინის** რეზოლუცია.

ამხ. **სტალინი** უდიდეს მუშაობას ეწევა აგრეთვე ქუთაისში, ატარებს იმერეთ - სამეგრელოს კომიტეტის რეორგანიზაციას და ხელმძღვანელობს მის მუშაობას. ნოემბერში ამხ. სტალინი შემოივლის მთელ რიგ სოფლებს (კუხი, ხონი, ჯიხაიში, იანეთი და სხვ.), სადაც მართავს ადგილობრივ ბოლშევიკების თათბირს და აძლევს სახელმძღვანელო მითითებებს. ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ელისავეტპოლში (დღეს კიროვაბადი) მოეწყო ბოლშევიკური ჯგუფი, რომელმაც გააჩაღა ბრძოლა მენშევიკებთან.

ბაქოში ამხ. **სტალინი** მკაცრად ილაშქრებს ც. კ-ის წევრის გლებოვ-ნოსკოვის წინააღმდეგ, ამხილებს მის შემთანხმებლურ ხაზს მენშევიკების მიმართ. ბაქოს დეკემბრის გაფიცვის დროს ამხ. სტალინი მონაწილეობას ღებულობს გაფიცვის ხელმძღვანელობაში და გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს მენშევიკ - შენდრიკოველებთან.

ამხ. **სტალინის** წარმატებითმა ბრძოლამ მენშევიკებთან და ც. კ-ის შემთანხმებლობის მხილებამ უზრუნველყო ლენინური ხაზის გამარჯვება ბაქოს კომიტეტში.

ამხ. **სტალინის** გააფთრებულმა ბრძოლამ როგორც მენშევიზმთან, ისე შემარიგებლობასთან ბოლშევიკურ რიგებში, უზრუნველყო ლენინური ხაზის გამარჯვება კავკასიის კომიტეტებში და განსაზღვრა მათი მონაწილეობა მესამე ყრილობაში.

ყრილობის ამოცანებს ლენინი თავის სტატიაში, „მესამე ყრილობა" ასე საზღვრავდა: „რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის პარტიის წინაშე მესამე ყრილობის წინ სამი მთავარი საკითხი იდგა. პირველი, პარტიული კრიზისის საკითხი. მეორე, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი — პარტიის ორგანიზაციის ფორმის შესახებ საერთოდ, მესამე მთავარი საკითხი — ჩვენი ტაქტიკის შესახებ მიმდინარე რევოლუციურ მომენტში".

ყრილობა გახსნა კავკასიის კავშირის დელეგატმა ამხ. **ცხაკაია — ბარსოვმა,** ყრილობის უხუცესმა დელეგატმა.

ყრილობაზე განხილული ყველა საკითხი და ყრილობის ყველა გადაწყვეტილება გამსჭვალული იყვნენ პარტიის ძირითადი გეზით — გამარჯვების უზრუნველყოფით ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლუციაში, რომელიც გადაიზრდებ სოციალისტურში.

---

*) ლენინი, ტ. VII, გვ. 101—102.

*)ლ. ბერია—საანგარიშო მოხსენება საქართველოს კ.პ. (ბ) IX ყრილობაზე.

პრესის მიმოხილვის მაგიერ

არაამხანაგური ტონისა და ერთი ციტატის შესახებ

„ერთ ქვეყანაში ტურფა არ იყო. დიდხანს იფიქრეს და გამოსავალი ნახეს, —ვირს დაარქვეს ვარდისახარ. ამის მსგავსი რამ მოხდა ქუთაისში და მით უფრო სავალალოა, რომ ეს ქუთაისში მოხდა. რატომ დასჭირდა ქუთაისის საბჭოთა მწერლების კავშირს ლიტერატურულად უვიცის ვინმე კარლო მელაძის მიწვევა მომხსენებლად საჯარო კრებაზე? განა ასე წყალწაღებულია ქუთაისი, რომ კაცი ველარ ნახეს მოხსენების გასაკეთებლად ისეთ დიდ საკითხზე, როგორიცაა „ლიტერატურული ფრონტი საქართველოში"?... „რა თქმა, რა მოჩმახა მომხსენებელმა?" (ხაზი ჩვენია).

არ გეგონოთ ეს ციტატა რომელიმე უპასუხისმგებლო ან „ობივატელურ" გაზეთიდან იყოს ამოწერილი. არა, იგი ამოღებულია სახმიწსახკომის ორგანო—გაზეთ „კოლექტივიზაციას" 12 აპრილის ნომრიდან.

რაშია საქმე, რა მოხდა? „კოლექტივიზაციამ" გააკრიტიკა პოეტ ვანიონ დარასელის ლექსი, რომელიც დაიბეჭდა ლიტერატურულ გაზეთ „სიტყვა და საქმეს" 20 დეკემბრის ნომერში. გავიდა ხანი. ქუთაისში ახალგაზრდა კრიტიკოსმა ამხ. მელაძემ საქართველოს ლიტერატურული ფრონტის შესახებ გააკეთა მოხსენება და შეეხო ამ ლექსსაც. მან მოინდომა (რასაკვირველია უსაფუძვლოდ) ამ ლექსის გამართლება და ამ მიზნით გაბედა და შეეკამათა „კოლექტივიზაციას". ამიტომაც დაატყდა თავს „კოლექტივიზაციის" რისხვა ამხ. მელაძეს და ქუთაისის რაიონულ გაზეთს, სადაც ამ მოხსენების მოკლე ანგარიში მოთავსდა.

ქუჩური ლანძღვა - გინების შემდეგ, რითაც „კოლექტივიზაცია" უმასპინძლდება ქუთაისის რაიონულ გაზეთ „სტალინელს" და მის რედაქტორს ამხ. ცხაკაიას, იგი ისევ ამხ. მელაძეს უბრუნდება და დაასკვნის:

„არამკითხე მელაძეზე კი რა
გვეთქმის,—
მხოლოდ ერთი რამ: ბუზს კითხეს,
რატომ
ზუზუით, მან უპასუხა: როცა გაჩუმებული
ვარ, მადლიერი არავინ მყავსო".

„ვირი", „უვიცი", „წყალწაღებული, „მოჩმახა", „არამკითხე" — ასეთია „კოლექტივიზაციის", „რჩეულ" სიტყვათა ლექსიკონი იმისათვის, რომ ამხანაგებს შეცდომა გაუსწოროს.

ჩვენ აქ არ ვიხილავთ საკითხის არსებით მხარეს, მაგრამ არ შეიძლება გვერდი აუაროთ სერიოზული ბოლშევიკური გაზეთისათვის, საბჭოთა პრესისათვის იმ ყოვლად შეუწყნარებელ ტონსა და ლექსიკონს, რომლითაც „კოლექტივიზაცია" აღჭურვილია.

უნდა შევნიშნოთ, რომ „კოლექტივიზაცია" ასე ხელაღებით და უმართებულოთ არც ისე იშვიათად „ანიავებს" და ლანძღავს ადამიანებს და გაზეთებს.

ამის მეორე მაგალითია პატარა ფელეტონი: „წამო ტყეში, ტყეში წამო!", მოთავსებული გაზეთის 24 თებერვლის ნომერში. უმართებულოდ, საკითხის გამოურკვევლად, სინაკის პასუხისმგებელი ამხანაგები (მათ შორის რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. კალაძე) გაზეთმა გამოაცხადა ლოთებად, „პატივცემულ გვამებად" (!), რომლებმაც საქმის მაგიერად თითქოს ღვინის ხმას მიჰყვეს ხელი!

კიდევ შეიძლებოდა ასეთი მაგალითების მოყვანა (მაგ. 8 აპრილის ნომერში შენიშვნა: „ქურდის შემნახავი"), სადაც „კოლექტივიზაცია" არაამხანაგური ტონით ელაპარაკება საბჭოთა მუშაკებს.

მაგრამ ერთ ჭკუის მასწავლებელ ფაქტზე კი უნდა შევჩერდეთ. „კოლექტივიზაცია" ბევრ რაიონულ გაზეთის მიმოხილვას ათავსებს. ზოგი მათგანი მართლაც საქმიანი და სასარგებლოა. ზოგი კი უფრო გულის „გასახალისებლად" თუა დაწერილი, თორემ თითქმის არაფერს საქმიანსა და სერიოზულს არ წარმოადგენს, ხანდახან კი—გასწორების ნაცვლად უფრო ამახინჯებს საკითხს. ასეთია მაგალითად 3 აპრილის ნომერში ლაგოდეხის რაიონულ გაზეთზე მოთავსებული პრესის მიმოხილვის („პოეტურმა ნაგავმა დაჩრდილა თამბაქო"). ის ადგილი, სადაც „კოლექტივიზაცია" ლენინის ციტატას „უსწორებს" გაზეთს, ნამდვილად კი თვითონვე ამახინჯებს ციტატას. ლენინი წერს:

> „მიჯნის დასადებად კი პარტიულსა და ანტიპარტიულს შორის არსებობს პარტიული პროგრამა, არსებობს პარტიის ტაქტიკური რეზოლუციები და მისი წესდება..." (ხაზი ჩვენია. ლენინი. თხზულებათა კრებული, ტომი VIII, გვ. 389, მესამე რუსული გამოცემისა).

ეს ციტატა არსებითად სწორად, ისე როგორც ლენინს აქვს, მოწინავე წერილში მოჰყავს ლაგოდეხის რაიონულ გაზეთს. მაგრამ „კოლექტივიზაცია" რატომღაც აჩირებულა და ფიქრობს, რომ ციტატა შეცდომით არის მოყვანილი და ასე „უსწორებს" თას რაიონულ გაზეთს:

> „მიჯნის დასადებად პარტიელებს და არა პარტიელებს შორის, არსებობს პარტიული პროგრამა, პარტიის ტაქტიკური რეზოლუციები და მისი წესდება".

ცხადია, ამ უკანასკნელი რედაქციით „კოლექტივიზაცია" ამახინჯებს და არსებითად ცვლის ლენინის ციტატის აზრს და სხვისი „შეცდომის" გასწორების სურვილით აღჭურვილი თვითონვე უშვებს უხეშ შეცდომას.

აი ამაზე კი მართლაც შეიძლება ითქვას: არც შინ [illegible] და არც სხვისი [illegible]!

კიდევ ერთი შენიშვნა: გაზეთის ფურცლებზე მკითხველი ხშირად შეხვდება ინფორმაციას, რომელიც ძალიან ცოტას მატებს ისეთი ტიპის გაზეთს როგორიც არის „კოლექტივიზაცია" (მაგ. 5 აპრილს მოთავსებული მასალა „ვინ არის ბავშვის მამა", 6 აპრილს—„15 ათასი დოლარი ხნოვანების გამომელავნებისათვის", 14 აპრილს—„ქალი საფოსტო ამანათი", „პალტომ გადაარჩინა" და სხ.). ასეთი ხასიათის ინფორმაციას გაზეთში ხშირად შეხვდებით, ხოლო საქმიან, კოლმეურნეთათვის შერჩეულ ინფორმაციას საბჭოთა კავშირის და კერძოდ საქართველოს ცხოვრებიდან კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ცხოვრებიდან — იშვიათად.

„კოლექტივიზაციამ" გადაჭრით უნდა აიღოს ხელი მუშაობის ას „სტილზე". რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება საქმისათვის.

ბოლშევიკური სიდინჯე, საქმიანი, პარტიული, ამხანაგური დამოკიდებულება საბჭოთა ადამიანებისადმი, ყველასა და ყველაფრისადმი, რაც ჩვენია და რაც სოციალიზმის მშენებლობის ინტერესებს უმსახურება, სადი, ბოლშევიკური კრიტიკა, — აი რა მოეთხოვება საბჭოთა გაზეთს.

ჩვენი ინდუსტრია

26 კომუნარის სახ. ქარხანა

საფეიქრო მანქანა „უნივერსალი", რომელიც დაამზადა 26 კომუნარის სახელობის ქარხანამ თურქეთისათვის

იმპერიალისტურ ომამდე აქ მესანგრეთა ბატალიონის ყაზარმა იყო. ომის დროს ყაზარმა პრაპორშჩიკების სკოლად გადაკეთდა, ხოლო 1916 წელს — სამხედრო ავტო-სარემონტო სახელოსნოდ რამდენიმე ათეული მუშა-ჯარისკაცით.

მენშ. ბატონობის წლებს არავითარი ცვლილება არ შეუტანია სახელოსნოს ცხოვრებაში. სახელოსნო მენშევიკურ გზათა სამინისტროს განკარგულებაში იყო და მის საავტომობილო პარკს ემსახურებოდა. დატვრეული ავტომანქანების სასაფლაო, დამსხვრეული და დაჟანგული მოწყობილობა—ასეთი იყო მემკვიდრეობა, რომელიც მენშევიკებმა დასტოვეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან იწყება ამ საწარმოს შეფარდება სწრაფად მზარდ სახალხო მეურნეობის საჭიროებებისადმი. პირველ ხანებში სახელოსნო უშვებს გუთნებს, სანიავებელ მანქანებს და სხვა წვრილ იარაღებს სოფლის მეურნეობისათვის; შემდეგში სახელოსნო თანდათან საქარხნო წარმოების სახეს იღებს და გადადის უფრო რთულ მოწყობილობის დამზადებაზე, როგორიცაა არის წყალსადენის ნაწილები, ელექტროგადამცემი ხაზის ანძები, ამწევი მექანიზმები, ჰიდრო - ელსადგურების ტურბინები, აბრეშუმის პარკის საშრობი მანქანები, აბრეშუმის ძაფსახვევი დაზგები, ჩაის საშრობი ღუმელები, როლერები ჩაის ფაბრიკებისათვის, ხის დამმუშავებელი დაზგები და ბოლოს საფეიქრო მანქანები.

ყოფილი კუსტარული სახელოსნო, სადაც ორი საამქრო-სახარატო და საზეინკლო —ძლივს ბოგინობდა, დღეს უკვე მძლავრ მანქანათმშენებელ ქარხნად გადაიქცა, რომელსაც მოწინავე ადგილი უჭირავს არა მარტო საქართველოში და ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში და რომელიც რთულ მანქანებს ამზადებს არა მარტო ჩვენი მრეწველობისათვის, არამედ საექსპორტოდაც.

საინტერესოა განვიხილოთ ქარხნის პროფილის ცვლილებანი მისი არსებობის სხვადასხვა პერიოდში. ასეთი პერიოდი ქარხნის განვითარებაში—ხუთია.

პირველ პერიოდში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, სახელოსნოში წარმოებს ავტომანქანების რემონტი. სახელოსნოში მუშაობს რამდენიმე ათეული კაცი.

მეორე პერიოდში (1921—1923 წ.წ.) ქარხანა, ავტოსარემონტო სახელოსნო № 3-ის სახელწოდებით, თანდათან ფართოვდება. ამუშავდა ორი ახალი საამქრო, გაიზარდა დაზგების რიცხვი სახარატო საამქროში. გარდა სარემონტო ფუნქციებისა, ქარხანა ასრულებს წვრილი სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოშვების დავალებასაც.

მესამე პერიოდში (1924—1927 წ.წ.) ქარხანა გადადის საქ. სმუს ლითონის განყოფილების ხელში იწყობა ჩამომსხმელი, ამწყობი და რკინის საწოლის საამქროები. მუშების რიცხვი იზრდება 250-დე. ქარხანა განაგრძობს სას.-სამ. იარაღის გამოშვებას და, ამას გარდა, ამზადებს ანძებს, ტურბინებს, საწოლებს.

მეოთხე პერიოდში (1928—1932 წ.წ.) არსებულ საამქროებს ემატება სასწორის, ნიკელის და რკინის კონსტრუქციების საამქროები (ეს უკანასკნელი შემდეგ ცალკე საწარმოდ გამოიყო). მუშების რიცხვი აღის 600 კაცამდე. ქარხანა უკვე თავს ანებებს სასოფლო-სამეურნეო იარაღის, ტურბინების და სხვა წვრილი ნაწილების წარმოებას და მანქანების (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) დამზადებაზე გადადის. ასეთია ამწევი მექანიზმები, ხის დამმუშავებელი და აბრეშუმის ძაფსახვევი დაზგები.

1932—35 წლებში ქარხანა გადაიქცა მსხვილ მანქანათმშენებელ საწარმოდ. ამ პერიოდიდან იწყება რთული საფეიქრო მანქანების სერიული გამოშვება. ქარხანამ მოკლე დროში აითვისა მთელი რიგი მანქანები, რომლებიც დღემდე საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა. ასეთია: აბრეშუმის პარკის საშრობი მანქანა „სიმპლექსი", მანქანები „ბატაილი" „ბრიუგერ-სტანდარტი", „უნივერსალი" და სხვ.

მაგრამ ყველაზე უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენდა „შერერის" მანქანის ათვისება, რომელიც წინად შვეიცარიიდან შემოქონდათ. ამ მანქანის ათვისება გაგრძელდა 1934 წლის მაისამდე. მისი წარმოების და უფლება დიდ სიძნელეს შეიცავდა, რადგან ქარხანას არ გააჩნდა მისი დამზადებისათვის საჭირო ყველა მოწყობილობა. მაგრამ ქარხნის მთელი კოლექტივის ენტუზიაზმმა და მონდომებამ გადალახა ყველა დაბრკოლება და ქარხანამ ეს გამოცდაც ბრწყინვალედ დაიჭირა. 26 კომუნარის სახელობის ქარხანა ერთადერთი საწარმოა საბჭოთა კავშირში, რომელმაც აითვისა ეს მანქანა. 15 ასეთი მანქანა ქარხანამ დაამზადა კაისარიის (თურქეთი) საფეიქრო კომბინატისათვის. მანქანები უკვე გადაიგზავნა თურქეთში.

ჯერ კიდევ თურქეთის შეკვეთის მიღებამდე „შერერის" მანქანები გაიგზავნა საბჭოთა კავშირის ცენტრალური რაიონების საფეიქრო ფაბრიკებს, სადაც ისინი საუკეთესოდ მუშაობენ.

ავტომობილის შეკეთებიდან რთული და ზუსტი კონსტრუქციის საფეიქრო დაზგის „შერერის" დამზადებამდე—აი ის გზა, რომელიც განვლო 26 კომუნარის სახელობის ქარხანამ შედარებით მოკლე დროის განმავლობაში. ქარხნის ეს წარმატება მიღწეულია მისი მუშათა კოლექტივის და საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის დაუღალავი შრომის და პარტორგანიზაციის ოპერატიული ხელმძღვანელობის შედეგად. ქარხანას, სადაც დღეს 700 მუშაა, მრავალი წარჩინებული ადამიანი ჰყავს, მათ შორის განსაკუთრებით თავი ისახელეს ჩამომსხმელებმა **დ. სამხარაძემ და ნ. გვენცაძემ**, ხის დამმუშავებელმა **მ. ინასარიძემ**, მოდელზე მომუშავემ **გ. გორდეზიანმა**, ზეინკალმა **ნ. ხოშტარიამ, მაისურაძემ, მამაჯანოვმა**, საინსტრუმენტო საამქროს მუშამ **ვ. გამრეკელმა**, სახარატო საამქროს უფროსმა, ინჟინერმა—კომუნისტმა **მ. კობახიძემ**. ქარხნის მთავარმა ინჟინერმა **დ. ემელიანოვმა**, საფეიქრო მანქანების საამქროს გამგემ **ბ. გრიგოროევმა**. ისინი თავისი პირადი მაგალითით თან იყოლიებდენ ქარხნის დანარჩენ მუშებს, აღვივებდენ მათში შრომის ენტუზიაზმს.

იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც დგას 26 კომუნარის სახელობის ქარხნის წინაშე მეორე ხუთწლედში, ჩატარდება ამ ქარხნის შემდგომი გაფართოება. კაპიტალური დაბანდებათა გეგმა ითვალისწინებს 1.622 ათასი მანეთის დახარჯვას ამ საქმეზე 1936 წელს, ხოლო 1.500 ათასი მანეთისას 1937 წელს. გაფართოების შემდეგ ქარხანას ექნება 12 საამქრო. დაზგების რიცხვი სახარატო საამქროში აყვანილი იქნება 100-დე და ქარხანაში იმუშავებს 1.200 მუშა.

შ. ბუაჩიძე.

ი. გრიშაშვილი

მეთევზე პეპოს სიმღერა

(დაწერილია ხმოვანი ფილმისათვის: „პეპო", რომელსაც სდგამს სომხეთის სახკინმრეწვი)

სისხამ დილით თევზებს ვიჭერ,
ბადით ხელში მივალ წყალზე.
ვენაცვალე ჩემს ძმა-ბიჭებს —
არ ფიქრობენ მომავალზე:
დღეს მოგებულს, დღესვე ვხარჯავ,
შესანახად ვის აქვს თავი?...
ბადე—ჩემი ქონებაა,
მტკვარი — ჩემი შემნახავი.
გაიშალე,
ბადევ, მალე,
გენაცვალე!..
როცა წყალში ვისვრი ბადეს—
თითქოს ახლად დავიბადე.
მთვარე მტკვარში აფენს სხივებს
და თევზებიც—ჯან!—ლივლივებს.
მდიდრებივით არ ვარ უქმად,
მე ღია მაქვს ყველგან კარი,
ვენაცვალე ალალ ლუკმას,
ტკბილია და უწყინარი
გაიშალე,
ბადევ, მალე,
გენაცვალე!
მაგრამ როცა გულით მართალს
მჩაგრავს ხალხი თავ-ზვიადი,
მე მივდივარ ჩემს ძმა მტკვართან—
ესმის პეპოს ხვაშიადი;
იქ თევზებთან ვმუსაიფობ,
იქ ვეხვევი ტივებს, ნავებს, —
მოვკვდები და ყარაჩოღელს
მხოლოდ მტკვარი დამინანებს.
გაიშალე,
ბადევ, მალე,
გენაცვალე!...

სურამის უღელტეხილზე მეორე ლიანდაგის გაყვანის საკითხისათვის

(წინადადების წესით)

სრულიად საქართველოს საბჭოთა VII ყრილობამ სახკომსაბჭოს მოხსენების გამო მიღებულ თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ საჭიროა „გაყვანილ იქნას მეორე ლიანდაგი ზესტაფონ-ხაშურ-ტფილისის უბანზე და მთლიანად ათვისებული იქნეს ამ უბნის ელექტროფიკაციაო".

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ასეთი გადაწყვეტილება დროულია. ვინც ოდნავ მაინც იცნობს რკინისგზის ტვირთბრუნვის დინამიკას, მისთვის აშკარაა, რომ მხოლოდ ტფილის-ზესტაფონს შორის მეორე ლიანდაგის გაყვანის შემდეგ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი რკინისგზა სათანადო მომსახურებას გაუწევს საქართველოს მზარდ სახალხო მეურნეობას.

ეს იმიტომ, რომ ამ უბანზე არის საუღელტეხილო გზა, რომელიც თავისი ბუნებრივი და ტექნიკური პირობებით, პროფილის სირთულით საშუალებას არ იძლევა დავაკმაყოფილოთ სავსებით და დროზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებები ტვირთზიდვის მხრივ.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციამ მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრა ტვირთზიდვის გადიდებული გეგმის ათვისების პრობლემა. თუ ორთქლმავლით უღელტეხილზე 18 წყვილი მატარებლის გაშვება შეიძლებოდა, ელექტროწევის პირობებში ხაშურ-ზესტაფონის უბანს 30 წყვილი მატარებელი შეუძლია გაუშვას ორივე მიმართულებით — ბათომისა და ტფილისისაკენ.

ჩვენი ქვეყნის მეურნეობისა და სამრეწველო-საწარმოო ძალების გიგანტური ზრდის პირობებში, რასაკვირველია, არც ეს კმარა. ა.-კ. რკინისგზაზე ტვირთზიდვა იმდენად იზრდება, რომ შეიძლება სურამის საუღელტეხილო უბანი კვლავ გადაიქცეს ჩვენი გზის ყველაზე ვიწრო ადგილად, რადგან უახლოეს წლებში მოსალოდნელია მატარებელთა რაოდენობის აყვანა დაახლოებით 40—48 წყვილამდე.

სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა საბჭოთა VII ყრილობა, როცა თავის რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნავდა ზესტაფონი-ხაშურ-ტფილისს შორის მეორე ლიანდაგის გაყვანის აუცილებლობას. მართლაც, 48 წყვილი მატარებლის გაშვება ორი მიმართულებით ერთლიანდაგიან უბნის ძალღონესა და გამტარუნარიანობას ბევრად აღემატება.

ამ საკითხის გარშემო სხვადასხვა მოსაზრებაა წამოყენებული. სამწუხაროდ არცერთი მათგანი არ არის უნაკლო. არცერთი მათგანი არ უწევს ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ლიანდაგის გაყვანამ არ უნდა გამოიწვიოს ოდნავი შეფერხებაც კი მთავარი მაგისტრალური ხაზის მუშაობაში.

თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ აუცილებლად წამოიჭრება საკითხი ახალი მიმართულების გამოძებნის შესახებ. ამ მხრივ ყველაზე სწორ და მისაღებ მიმართულებათ ჩვენ აგარა-ჩერათხევი-ძირულა მიგვაჩნია. გარდა იმისა, რომ მას ახასიათებს ამ მიზნით საჭირო ყველა ელემენტი, მის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე მთელი რიგი ისტორიული ცნობებიც..

არც ისე შორეულ წარსულში, ჩვენში ცნობილი იყო ჭიათურა-სახერე-დოლლაურის (ახლანდელი გომის) შარაგზა. იგი უშუალოდ აკავშირებდა ქართლ-კახეთთან და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმს. დროთა ვითარებაში ამ გზამ თანდათან დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. ჭიათურის რკინისგზის შტოს დიდი გადატვირთვის გამო, შავი ქვის ტვირთების ერთი ნაწილი ხარ-ურმით იზიდებოდა სადგურ გომამდე (დოლლაური), სადაც ხდებოდა მისი გადატვირთვა ფართოლიანდაგიან რკინისგზის ვაგონებში — ფოთისა და ბათომისაკენ. ეს გზა ბევრად უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე ჭიათურა-ზესტაფონის გზები დიდწიფელათი და ულევით. ამიტომ მარგანეცის გაზიდვაც ამ მიმართულებით გაცილებით უფრო იაფად ჯდებოდა. გარდა ამისა, ჭიათურა-დოლლაურის გზა საექსპლოატაციოდ ყველაზე უფრო გამოსადეგი იყო, თითქმის მთლიანად იგი მიჰყვებოდა მდინარეების ბორიულა-ჩერეხეთის წყლის მეტად ვაკე ნაპირებს.

მეორე ლიანდაგის მშენებლობის ინტერესები მოითხოვს გვერდი არ ავუაროთ ამ გზას, რომელიც ძალიან ხელსაყრელია თავისი პროფილით და მდებარეობით.

მშენებლობის დასაწყის კვანძად სადგური აგარა უნდა მივიჩნიოთ. ეს სადგური იმითაც არის შესანიშნავი, რომ იქ რკინისგზის კვანძის განვითარებისათვის ფართო გასაქანია. იმის მახლობლად მტკვარს ერთვის მდინარე სურამულა, რომლის ხეობა სავსებით ვაკეა. აქედან რკინისგზა უნდა გაჰყვეს სურამულას ნაკადის—ჩერეთხევის წყლის ხეობას სოფ. ჯვარამდე. ეს ხეობაც მთლიანად ვაკეა. სოფელ ჯვარიდან ახალი გზა ბორიულას ხეობით დაეშვება მდინარე ძირულის [illegible] და ამ ხეობით ჩავა სადგურ ძირულამდე, სადაც შეუერთდება ა.-კ. რკინისგზის მთავარ მაგისტრალს. ამნაირად, უღელტეხილის რთული, მაღალი მთაგორიანი ნაწილი განზე დარჩება და გზა სწორი, პირდაპირი მიმართულებით დაეშვება მთავარი ხაზისაკენ.

ახალი რკინისგზა გაივლის ქართლის რამდენიმე მჭიდროდ დასახლებულ სოფელს, რომელთა მოსახლეობა უშუალოდ დაუკავშირდება ქალაქს. ეს გზა სასარგებლო იქნება ძირულის ხეობის სოფლებისათვისაც. ამგვარად ეკონომიური მიდრეკილება ახალ რკინისგზისადმი ექნება ქართლ-იმერეთის 60 ათას მოსახლეობას.

მეორე მხრივ, ეს რაიონი მეტისმეტად მდიდარია ძვირფასი ნედლეულით, განსაკუთრებით ხეტყით. ეს მასალა ახლაც ხმარდება რკინისგზას შპალებისა და ბოძებისათვის. ახალი რკინისგზა გააიაფებს გადაზიდვას და მკვიდრ საფუძველს შეუქმნის ტყის ექსპლოატაციის საქმეს.

გარდა ამისა, როგორც ყოველწლიური გეოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფს, ძირულის და ჩერათხევისწყლის ხეობებში უხვად არის ბუნებრივი სიმდიდრე, რასაც რკინისგზამ გზა უნდა გაუხსნას მრეწველობისაკენ.

ახალი რკინისგზის საერთო სიგრძე დაახლოებით 70-74 კილომეტრს აღწევს. თუ შევადარებთ ა.-კ. რკინისგზის ხაზის სიგრძეს, სადგ. აგარიდან სადგ. ძირულამდე, უმნიშვნელო განსხვავებას მივიღებთ (8-9 კილომეტრი). სამაგიეროდ კი ავცდებით მთელ რიგ ხელოვნურ ნაგებობას და, როგორც აღვნიშნეთ, გაცილებით უფრო მისაღებ პროფილიანი გზა გვექნება. მეორე მხრით ეს გზა ბევრად უფრო იაფად დაჯდება, ვიდრე არსებული ტრასით მეორე ლიანდაგის გაყვანა.

ამრიგად, ა.-კ. რკინისგზის მთავარ მაგისტრალის გამტარუნარიანობის გასაძლიერებლად და საქართველოს საბჭოთა VII ყრილობის დადგენილების განხორციელებისათვის აუცილებელია, ჩვენის აზრით, ლიანდაგის გაყვანა სრულიად ახალი მიმართულებით. ყოველგვარი სალი ტექნიკური და ეკონომიური მოსაზრება გვიკარნახებს დაჩქარებით გადაწყდეს მისი გაყვანა სწორედ იმ მიმართულებით, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ.

აპ. ტუშმალაძე.

ყრილობის ერთერთი ცენტრალური საკითხი იყო შეიარაღებული აჯანყების საკითხი.

რევოლუცია ჩვენს ქვეყანაში სწრაფად იზრდებოდა და ცარიზმთან შეიარაღებული შეტაკების ფორმას ღებულობდა. ეს აყენებდა პროლეტარიატის პარტიის წინაშე მთელი სიგრძესიგანით ამოცანას — მოეწყო შეიარაღებული ბრძოლა და ხელმძღვანელობა გაეწია მისთვის, რადგან რევოლუციურ პროლეტარიატს, რომელსაც გლეხობა თან მიჰყავდა, მხოლოდ იარაღით შეეძლო უზრუნველეყო გამარჯვება ცარიზმზე და შეექმნა ყველა პირობა რევოლუციის შემდგომი გაშლისა და გაღრმავებისათვის. შეიარაღებული ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში კავკასიის ორგანიზაციებს უდიდესი გამოცდილება ჰქონდათ.

პარტიის III ყრილობამ გაითვალისწინა ადგილებზე წარმოებულ შეიარაღებული ბრძოლის გამოცდილება. და მოისმინა რა მოხსენება, აგრეთვე მრავალი ამხანაგის გამოსვლები კამათში, მიიღო გადაწყვეტილება: „...მიღებულ იქნას უაღრესად ენერგიული ზომები პროლეტარიატის შესაიარაღებლად, აგრეთვე შეიარაღებული აჯანყების და მისი უშუალო ხელმძღვანელობის გეგმის გამოსამუშავებლად, რისთვისაც, საჭიროების მიხედვით, შეიქმნას განსაკუთრებული ჯგუფები პარტიული მუშაკებისაგან". *)

სახავდა რა ღონისძიებებს ქვემოდან შეტევის მოსაწყობად, პარტია ითვალისწინებდა აგრეთვე ზემოდან მოქმედების აუცილებლობასაც. ამ დებულებებმა განსაზღვრეს ყრილობის გადაწყვეტილებანი მეორე ცენტრალურ პოლიტიკურ საკითხზე — დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის შესახებ.

რევოლუციის გამარჯვება ბოლშევიკებს წარმოდგენილი ჰქონდათ. როგორც გამარჯვება რევოლუციური პროლეტარიატისა, რომელიც გაიყოლიებდა გლეხობას. ამ გამარჯვების განსამტკიცებლად და რევოლუციის შემდგომი გაღრმავების უზრუნველსაყოფად, ყრილობამ აუცილებლად მიიჩნია დროებით რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის მიღება. ყრილობის რეზოლუციაში ვკითხულობთ: „... ძალთა თანაფარდობის და სხვა ფაქტორების მიხედვით, რომელთა ზუსტი წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია, დასაშვებია ჩვენი პარტიის რწმუნებულთა მონაწილეობა დროებით რევოლუციურ მთავრობაში. ყველა კონტრრევოლუციურ ცდასთან შეუწყვეტელი ბრძოლის და მუშათა კლასის დამოუკიდებელი ინტერესების დაცვის მიზნით" **).

რევოლუციის ხელმძღვანელობის საკითხში, გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის უზრუნველყოფის, როგორც რევოლუციის გამარჯვების ძირითადი პირობის, საკითხში მიღებულ გეზთან სრული შეფარდებით, ყრილობამ გადაჭრა აგრარული საკითხიც. ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ აუცილებელია უაღრესად ენერგიულად დავუჭიროთ მხარი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ყველა რევოლუციურ ღონისძიებას მემამულეთა სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწების კონფისკაციამდე.

ყველა რევოლუციურ - დემოკრატიულ გარდაქმნათა გატარების აუცილებელ პირობად ყრილობამ მიიჩნია გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნა.

ყრილობამ გაითვალისწინა, რომ რევოლუცია არ შეჩერდება ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ ეტაპზე, არამედ გაღრმავდება და რევოლუციის გაღრმავებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის ერთგული მოკავშირე იქნება სასოფლო - სამეურნეო პროლეტარიატი. ამის გამო ყრილობამ აუცილებლად აღიარა, რომ უნდა ვეცადოთ სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებლად დარაზმვას, მის შეერთებას ქალაქის პროლეტარიატთან პარტიის დროშით.

ყრილობის გადაწყვეტილებებში გლეხობის საკითხზე უდიდეს როლს თამაშობდა გლეხთა აჯანყებების ხელმძღვანელობის პრაქტიკული გამოცდილება საქართველოში. ამხ. ცხაკაიამ, როგორც თანამომხსენებელმა (მომხსენებელი იყო ლენინი). დახატა გლეხთა მოძრაობის მკაფიო სურათი საქართველოში, — გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და შეჩერდა პარტიის მუშაობაზე სოფლად. კავკასიის კავშირი უდიდეს ყურადღებას აქცევდა გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას; იგი რაზმავდა გლეხობას და ხელმძღვანელობდა მის ბრძოლას. უდიდეს მიტინგებზე, სადაც გლეხები ათასობით იყრიდენ თავს, აგრეთვე თავის პროკლამაციებში გლეხობას მიმართ, საკავშირო კომიტეტი აცნობდა გლეხებს პარტიის პროგრამას და მოუწოდებდა მათ რევოლუციური ბრძოლისაკენ პროლეტარიატთან კავშირში. სოფლად ფართოდ ვრცელდებოდა პარტიული ბროშურები, მათ შორის ლენინის ბროშურა — „სოფლის ღარიბებისათვის" საკავშირო კომიტეტი სოფლებში ქმნიდა გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს, რომლებიც გლეხთა მასების ორგანიზაციის საქმეში უდიდეს როლს ასრულებენ. ყრილობამ გაითვალისწინა კავკასიის კავშირის ეს უმდიდრესი გამოცდილება გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის გამომუშავების დროს.

რეზოლუციაში მენშევიკების შესახებ ყრილობამ სასტიკად დაგმო მათი გამცემლური დეზორგანიზატორული მუშაობა მეორე ყრილობის შემდეგ და შესაძლებლად სცნო მათი დარჩენა პარტიაში მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი სცნობდენ პარტიულ ყრილობათა გადაწყვეტილებებს და პარტიის წესდებას და დაემორჩილებოდენ პარტიის დისციპლინას.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა წესდების 1-ლი პარაგრაფის ლენინური ფორმულირების მიღებას. გადაწყვეტილებანი ორგანიზაციულ საკითხებზე უზრუნველყოფდენ პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებას და ც. კ-ის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებას.

ყრილობის რეზოლუცია ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ბრძოლის და მუშების წინაშე ლიბერალური მოძრაობის გამცემლური ხასიათის მხილების აუცილებლობის შესახებ ხაზს უსვამდა, რომ რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენენ პროლეტარიატი და მასთან დაკავშირებული გლეხობა.

ყრილობამ უდიდესი ყურადღება მიაქცია კავკასიის ამბებს. ლენინს ცხოვლად აინტერესებდა აქ მომხდარი ამბები და მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ საკითხზე რეზოლუციის დამუშავებაში.

ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია ამბობს:

„რ. ს.-დ. მ. პ. III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უთვლის კავკასიის გმირულ პროლეტარიატს და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს მიიღონ უენერგიულესი ზომები კავკასიაში საქმეთა ვითარების შესახებ ცნობების რაც შეიძლება უფრო ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო საუბრების და სხვ. გზით, აგრეთვე კავკასიისათვის თავის დროზე მხარის დასაჭერად მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით". *)

III ყრილობის ყველა გადაწყვეტილება ამტკიცებდა ლენინის დებულებებს და გადამწყვეტ ლახვარს სცემდა მენშევიზმს, რომელიც მასებს აძლევდა ორიენტაციის არა რევოლუციური ბრძოლისაკენ, არამედ მაჩანჩალობისა და ბურჟუაზიასთან შეთანხმებლობისაკენ.

III ყრილობის გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედო პარტიის მუშაობას რევოლუციური ბრძოლის პერიოდში.

ყრილობის შემდეგ კავკასიის კავშირის დელეგატებმა შემოიარეს რაიონები, ისინი გამოდიოდენ მოხსენებებით როგორც ცალკეული კომიტეტების სხდომებზე, ისე რაიონულ კრებებზე. ბაქოში, ტფილისში, ქუთაისში, ჭიათურაში, ხონში და სხვ. გამართულ კრებებზე დიდი ყურადღებით ისმენდენ ყრილობის დელეგატების მოხსენებებს. კრებებზე მკაცრად აკრიტიკებდენ მენშევიკების პოზიციას და გამოჰქონდათ რეზოლუციები III ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

გაითვალისწინეს რა III ყრილობის გადაწყვეტილებათა გავლენის ზრდა პარტიულ ორგანიზაციებსა და მუშათა მასებში, კავკასიის მენშევიკებმა გააჩაღეს გააფთრებული ბრძოლა ყრილობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. თავის ორგანოს „სოციალ - დემოკრატის" ფურცლებზე ისინი ათავსებდენ ცილისწამებით აღსავსე სტატიებს ყრილობის წინააღმდეგ, მას აცხადებდენ უკანონოდ.

კავკასიის კავშირი აშკარავებდა მენშევიკურ სიცრუეს. მის ორგანოს — „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცლებზე ათავსებდენ სტატიებს, სადაც ამხილებდენ მენშევიკური ლანძღვა - გინების ნამდვილ რაობას, ლანძღვაგინებას, რომელიც მიმართული იყო ბოლშევიკების დისკრედიტაციისაკენ და მიზნად ისახავდა ნაკლებად შეგნებული ელემენტების მიმხრობას.

კავკასიის ორგანიზაციები ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, სძლევდენ რა მენშევიკების გამცემლურ როლთან დაკავშირებით შექმნილ არაჩვეულებრივ სიძნელეებს, გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდენ III ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ამ დაძაბული ბრძოლის შედეგად, რევოლუციური მოძრაობა ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკური ლოზუნგებით ვითარდებოდა.

III ყრილობისათვის ბოლშევიკების მომზადების პერიოდში. ტროცკი, ილაშქრებდა რა ლენინის ორგანიზაციული პრინციპების წინააღმდეგ, „წინასწარმეტყველებდა", რომ ამ პრინციპების საფუძველზე აგებულ პარტიას მომავალი არა აქვსო.

30 წლის წინათ, მენშევიკების და ტროცკის ბოროტი სისინის და გაშლილი ბრძოლის დაძლევის გზით, ჩაატარა პარტიამ თავისი პირველი ბოლშევიკური ყრილობა. დაუდო რა საფუძვლად თავის შემდგომ მუშაობას ამ ყრილობაზე მიღებული სტრატეგია და ტაქტიკა, ბოლშევიკების პარტიამ **ლენინ - სტალინის** დროშით გაანადგურა კონტრრევოლუციური მენშევიზმ-ტროცკიზმი და უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

---

*) III ყრილობის ოქმები, გვ. 519.

**) იქვე, გვ. 520.

*) III ყრილობის ოქმები, გვ. 528.

◆

საქართველოს ცაკში

20 აპრილს, ამხ. **ფ. მახარაძის**, თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა მოისმინა **ტფილისის საბჭოს და ტფილისის რაისაბჭოების მასობრივ ორგანიზაციული მუშაობის** გამოსაკვლევად გამოყოფილი ბრიგადის მოხსენება.

მოხსენებისას აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში ტფილისის საბჭოს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს მასობრივ ორგანიზაციულ მუშაობაში. განსაკუთრებით კარგათ მუშაობენ სადეპუტატო ჯგუფები, რომლებიც პრაქტიკულად იბრძვიან შემჩნეულ ნაკლთა აღმოსაფხვრელად. მოხსენებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ სტალინის რაისაბჭოში სათანადოთ ვერ აფასებენ სექციების მუშაობის მნიშვნელობას. ცაკის პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ეს ყოვლად დაუშვებელია და გადასწყვიტა სტალინის რაისაბჭოს სასექციო მუშაობის ჩამშლელთა წინააღმდეგ მიღებულ იქნეს შესაფერი ზომები.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება **სასოფლო საბჭოების მასობრივ ორგანიზაციულ მუშაობაზე**. წალენჯიხის, ახალ აბაშის, გომის და პირველი სვირის სასოფლო საბჭოების მუშაობას სათანადოთ ვერ ხელმძღვანელობენ ადგილობრივი რაიონული საბჭოთა ორგანიზაციები. გომის სასოფლო საბჭოში მაგ. გაანადგურეს სასოფლო კლუბი, გაანიავეს მისი მოწყობილობა, გაყიდეს პიანინო და კლუბი თავლად გადააქციეს.

ორივე მოხსენების ირგვლივ ღონისძიებების დამუშავება პრეზიდიუმმა დაავალა კომისიას ამხ. **თ. ჟღენტის, გორდეზიანის, დუმბაძის, შავიშვილის და ლომიძის** შემადგენლობით.

ამას, წინათ, იუსტიციის სახ. კომისარის **ა. რამიშვილის** თავმჯდომარეობით ცაკმა გამოყო კომისია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებასთან ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე, საქართველოს სისხ. სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის საკითხის შესასწავლად. კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა და წარსდგა მოხსენებით ცაკის პრეზიდიუმზე. ამხ. რამიშვილმა პრეზიდიუმს გააცნო კომისიის მუშაობის შედეგები და წარადგინა პროექტი სისხ. სამართლის კოდექსში ცვლილებების შესატანად. პრეზიდიუმმა წარდგენილი პროექტი მიიღო.

მალარიასთან ბრძოლის საკითხზე პრეზიდიუმმა მოისმინა ჯანსახკომის წარმომადგენლის პროფ. კანდელაკის მოხსენება.

ცაკის პრეზიდიუმმა გამოყო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მალარიასთან ბრძოლის შესახებ დადგენილების პროექტის დამუშავება.

სახელმწიფო საჯიშეებში მუშაობისათვის ზოოტექნიკოსების მობილიზაციის შესახებ

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსაწყობ, თუშური ცხვრისა, მთის ოთხფეხი საქონლისა და მეგრული თხის სახელმწიფო საჯიშეების დაკომპლექტების მიზნით — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მობილიზებულ იქნენ ტფილისის სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე და აგრეთვე სამსახურში არმყოფი შემდეგი ზოოტექნიკოსები:

1. ლეონიდ ფერდინანდის-ძე ვილცრა (არ მუშაობს), 2. მურმან დვალიშვილი (ტფილისი—გამწვანება), 3. ბარბარე ძასოხოვა (ა-კ. მიწ-ბის სახ. კ-ტი), 4. არშაკ აკოფიანი (არ მუშაობს), 5. მალუნცევი (არ მუშაობს), 6. პროკოფი გოცირიძე (შინ. საქმ. სახ. კ-ტის სამ. გან.), 7. მიხეილ ჭავჭანიძე (არ მუშაობს), 8. ილია სტურუა (არ მუშაობს), 9. ამბარდანიშვილი (არ მუშაობს), 10. ალექსანდრე ლატარია (საჩაიპრომა), 11. გრიგოლ ივანეს-ძე ნარჩემაშვილი (არ მუშაობს), 12. გამრეკელი (არ მუშაობს), 13. ირაკლი ალექსიძე (ტფილისის მაუდის ფაბრიკა),

2. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ზოოტექნიკოსები სამი დღის ვადაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, უნდა გამოცხადდენ სარეგისტრაციოდ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის სამმართველოში.

3. წინადადება მიეცეს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ, რათა მობილიზებული ზოოტექნიკოსები აუცილებლად და თავის დროზე გამოცხადდენ რეგისტრაციაზე.

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.
საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველი **ა. ქავთარაძე.**
1935 წ. აპრილის 21.
ქ. ტფილისი.

ამიერ-კავკასიაში

აზერბეიჯანი

ბაქოს სამკურნალო კომბინატი

1 მაისს გაიხსნება ერთ-ერთი უდიდესი საბჭოთა კავშირში ბაქოს ბალნეო-ფიზიოთერაპევტიული ინსტიტუტის პირველი რიგი. ინსტიტუტის ახალი გრანდიოზული შენობა, რომელიც 5000 კვადრატულ მეტრზე მეტ ფართობს უდრის, აგებულია ბეტონისა და შუშისაგან და გაფორმებულია მარმარილოთი, ფერადი მოზაიკით და კაფელებით. შენობის ირგვლივ გაშენებულია ყვავილნარები და მწვანე ნარგავები. კომბინატი ეწყობა უახლესი სამედიცინო აპარატურით. შენობის შიგნით გაყვანილია 50 კილომეტრი სიგრძის სხვადასხვა მილები. გაყვანილი იქნება 25 კილომეტრიანი მილგამტარი გოგირდოვანი წყლისათვის, რომელიც ინსტიტუტს შეაერთებს სურახანის წყაროებთან.

ბაქოს საბჭომ 5 მილიონ მანეთზე მეტი გადასდო ჯანმრთელობის ამ შესანიშნავი ფაბრიკის აგებისათვის. ინსტიტუტში იმუშავებს 400 კაცი სამედიცინო და მომსახურე პერსონალი. კომბინატის სრული გამტარუნარიანობა დღეღამეში უდრის 7000 კაცს.

საუკეთესო სურათების გამოფენა

პირველი მაისისათვის ორჯონიკიძის რაიონის კულტურის სახლიდან აზერბეიჯანის სახ. მუზეუმში გადააქვთ საბჭოთა კავშირის მხატვრობის უდიდეს ოსტატთა სურათების მოძრავი გამოფენა. მუზეუმში გამოფენილი იქნება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების 250 სურათი. მაისის დღესასწაულზე გამოფენას დაათვალიერებენ საწარმოების მუშები და მოწაფეები.

სომხეთი

აზერბეიჯანის ლიტერატურის საღამო ერევანში

მწერალთა სახლში შესდგა საბჭოთა აზერბეიჯანის ლიტერატურისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც დაესწრნენ მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები, ხელოვნების მრავალი მუშაკი და სტუდენტები. თურქეთის ლიტერატურის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბაქოდან მოწვეული ლიტერატურმცოდნე და კრიტიკოსი ამხ. ალი ნაზიმი. პოეტებმა მ. ხარიანმა ს. ტარონცმა და [illegible] წაიკითხეს თურქ-პოეტების ნაწარმოების თარგმანები. საღამომ ერევნის საბჭოთა საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია აზერბეიჯანის ლიტერატურისადმი.

სამედიცინო ტექნიკუმი ლენინაკანში

სომხეთის ჯანსახკომი ივნისიდან იწყებს ტექნიკუმის შენობის აგებას ლენინაკანში 100 მოწაფისათვის. ტექნიკუმი მოამზადებს საშუალო სამედიცინო პერსონალის კადრებს. პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ტექნიკუმის მშენებლობისათვის უკვე შედგენილია.

შინამრეწველობის მუზეუმი

გაიხსნება მაისის დღესასწაულზე

სარეწაო საბჭო ტფილისში ხსნის შინამრეწველობის მუზეუმს, სადაც თავმოყრილია მრავალი საყურადღებო ექსპონატი. მუზეუმთან ეწყობა 12 განყოფილება — ოქრომჭედლური ნაწარმოების, საფეიქრო, ნაქარგების, ტრიკოტაჟის, სამკერვალო, ხის ნაწარმის, ტყავეულობის, ქიმიური, კერამიკის, აბრეშუმის ქსოვილების და ლითონის ნაწარმის განყოფილებები. იქვე მოწყობილია და უკვე მუშაობს სამხატვრო სახელოსნო, რომელიც აგროვებს მასალებს და ექსპონატებს შინამრეწველთა [illegible].

მუზეუმში დაცულია ფოტო-სურათების მდიდარი კოლექცია. დაცულია აგრეთვე მხატვარ სტრაუმის ძვირფასი ნამუშევარი ქართული სტილის თემატიკიდან, დაცულია ძველი ქართული ფრესკებისა და ორნამენტების სურათები, ძველი ქართული ხალიჩების იშვიათი ეგზემპლარები და სხვ.

წელს განზრახულია მოეწყოს მუზეუმთან ორი სახელოსნო — საფეიქრო და მხატვრული ხელსაქმის. საფეიქრო სახელოსნოში დაიწყებენ ძველებური დარაიის და ჩესუჩის ქსოვას, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა. მხატვრული ხელსაქმის სახელოსნო კი გამოუშვებს — მხატვრულად გაკეთებულ აბაჟურებს, სუფრებს, ბავშვების ტანისამოსს, შირმებს და სხვ.

მუზეუმი გაიხსნება მაისის დღესასწაულებზე.

ხვალ იწყება სამაისო ბაზრობა

ხვალ ტფილისში იწყება სამაისო ბაზრობა. ბაზრობისათვის მზადება ტფილისის მოვაჭრე ორგანიზაციებმა ძირითადად უკვე დაამთავრეს. ბაზრობის განმავლობაში სულ გაიყიდება 10.160 ათასი მანეთის სამრეწველო და სხვა საქონელი. ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებს 198 სტაციონალური მაღაზია, 5 მოძრავი — ავტომაღაზია და 1000 მეწვრილმანე. მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ცენტრალური, დესიმონოვის და დახურული ბაზარი.

რაიონებიდან კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხთა ბაზრობაში ორგანიზებულად გამოსვლისათვის ხელისშეწყობის მიზნით რკინიგზის სადგურებს მიეცათ განკარგულება პირველ რიგში გადაზიდონ ბაზრობისათვის დანიშნული საქონელი.

ბაზრობაზე ჩამოსულ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მომსახურების მიზნით, საკოლმეურნეო ბაზრობაზე მოეწყობა საკონსულტაციო ბიუროები, ბიბლიოთეკა სამკითხველოები, მედპუნქტები, რადიო და ღამის გასათევი სადგომი პირუტყვისათვის.

იმ მუშაკების და ორგანიზაციების დასაჯილდოებლად, რომლებიც უკეთ მოემსახურებიან ბაზრობას, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ საქონელბრუნვის გეგმებს, გამოყოფილია პრემიალური ფონდი, რომელსაც გაანაწილებს სპეციალურად დანიშნული ჟიური.

ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. ვ. ვავილოვი, რომელიც ამასწინედ მოგზაურობდა საქართველოში, ათვალიერებს ციტრუსოვან მცენარეს მემცენარეობის საკ. ინსტიტუტის სანერგეს ორანჟერეაში.

აშენებენ აეროდრომს

წალენჯიხის რაიონის მშრომელებმა იკისრეს საკუთარი თვითმფრინავის აგება ნებაყოფლობით შეკრებილი სახსრებით და აგრეთვე აეროდრომის მოწყობა. ამ მიზნით მათ ამასწინედ სპეციალური მოწოდებით მიმართეს საქართველოს ყველა რაიონს და დასახეს ლოზუნგი — **თვითეულ რაიონს კეთილ-მოწყობილი აეროდრომი.**

ნაკისრ ვალდებულების შესრულების მიზნით 18 აპრილს მოეწყო დიდი შაბათობა აეროდრომის ფართობის გასაწმენდად. შაბათობაში მონაწილეობდენ ტექნიკუმის მოწაფეები, მუშა-მოსამსახურეები კოლმეურნეები და მშრომელი გლეხები, სულ 400-მდე კაცი.

აეროდრომი ძირითადათ მზად იქნება პირველ მაისს.

წალენჯიხის მშრომელნი შუამდგომლობენ ა.-კ. სამოქალაქო ავიაციის კომიტეტის წინაშე, რათა მოეწყოს რაიონში საგიტაციო გაფრენები პირველ მაისისათვის.

თვითმფრინავის **„წალენჯიხის კოლმეურნეს"** ასაგებად დღემდე შეგროვილია 18 ათასი მანეთი. (საქ. კორ.).



ბორჯომი სახეს იცვლის

საკურორტო ქალაქი ბორჯომი სახეს იცვლის. ხსნიან სახლებიდან ძველ, უგემოდ მიშენებულ აივნებს, წარმოებს სახლთა ფასადების არქიტექტურული გაფორმება აგებენ ახალ შენობებს და გუდრონირებულ ქუჩებზე დაწყებულია გამწვანება; ბორჯომ-ბალიდან ახალშენის მიმართულებით ერთი კილომეტრის მანძილზე გზის ორივე მხარეს დარგულია ნაძვები.

პირველ მაისისათვის მზად იქნება ახალი ბაზარი, რომელზედაც იხარჯება 67 ათასი მანეთი. ბაზარი შესდგება 21 მაღაზიისაგან. აქვე გამოყოფილია საკოლმეურნეო სავაჭრო წერტები და მაგიდები.

აღსანიშნავია ამხ. ბერიას სახელობის კულტურისა და დასვენების სახლი, რომელშიაც თავმოყრილი არიან კულტურული და სანახაობათა ორგანიზაციები: დრამატიული თეატრი 350 კაცისათვის, კინო-თეატრი 250 კაცისათვის, რადიოსადგური და სტუდია; ამას გარდა ცალკეა გამოყოფილი სათანადო ავეჯით და დგამით: ფიზკულტურის დარბაზი, ბიბლიოთეკა - სამკითხველო, პარტკაბინეტი, თავდაცვა - ავიაქიმის, პიონერმოდელისტების, საჭადრაკო-საშაშო და „დედათა და ბავშვთა" ოთახები.

თეატრში მუშაობენ ქართული და სომხური დრამატიული წრეები, ცეკვის სტუდია, მომღერალთა გუნდი, სასულე და სიმებიანი ორკესტრები.

შენობა ორსართულიანია და შესდგება 4 დარბაზისა და 14 ოთახისაგან. ამჟამად შენობას აფორმებენ. მთლიანად იგი დამთავრდება მაისის დამლევისათვის.

სურათზე: ბორჯომის ქალაქის საბჭოს და პროფკავშირების ამხ. ლ. ბერიას სახელობის კულტ. და დასვენების სახლი.

კინო

ვოროშილოვის სახელობის კინომატარებელი ა.-კ. რკინისგზაზე

ტფილისში ჩამოვიდა „სოიუზკინოქრონიკის" ფაბრიკის ვოროშილოვის სახელობის კინომატარებელი, რომელიც იწყებს მცირემეტრაჟიანი ფილმების გადაღებას რკინის გზის ტრანსპორტის დარგიდან და მთელ რიგ სუჟეტებს „სოიუზკინოქრონიკის" საკავშირო კინოჟურნალის გამოსაცემად.

ამჟამად იწყება შემდეგი მცირემეტრაჟიანი ფილმების გადაღება: „მარცხთა გარეშე", „ა.-კ. ფედერაციის გზა", „გამოხმაურება ამხ. კაგანოვიჩის ბრძანებაზე" (ბრძოლა ხაზის ზედანაგებობათა საუკეთესო დაცვისათვის, ისრების, სადგურების და სხვ. სისუფთავისათვის), „ტყვარჩელი" (ქვანახშირის ამოღება და საჰაერო საბაგირო გზა), „ჩაის მინდვრების დამკვრელები" (ალი გოქსაძე—ქობულეთის რაიონი) და „ბაქო-ნავთის ქალაქი".

„ახალი გულივერი" საბჭოთა კინემატოგრაფიის მორიგი გამარჯვებაა

მოკლე ხანში, კინო „ოქტომბერში" ნაჩვენები იქნება მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიაში პირველი სრულმეტრაჟიანი მოცულობით მულტიფიკაციური ფილმი „ახალი გულივერი". ეს ფილმი გაკეთებულია 21 თვის განმავლობაში. ის წარმოადგენს სრულმეტრაჟიან მულტიფიკაციურ ფილმზე საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაობის პირველ ცდას.

ფილმის სუჟეტი აგებულია ჯონათან სვიფტის ნაწარმოებზე, მაგრამ მოქმედება გადმოტანილია ჩვენს დროში. ფილმი წარმოადგენს პიონერის სიზმარს, რომელიც მოხვდა ლილიპუტების სამფლობელოში. ფილმის კომპოზიტორია **ლევ შვარცი.** ტიკინები გაკეთებულია **მხატვარი ქალის მოკილის** ესკიზების მიხედვით, ფილმის რეჟისორია რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი პტუშკო.

ქვანახშირი, გამამდიდრებელი ფაბრიკა ტყვარჩელში

ტყვარჩელის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა მთავრდება. სამტვრევი განყოფილება მთლიანად მზად არის და მისი დამონტაჟება შესრულებულია 80 პროც.

ქვანახშირის სარეცხი 36 მეტრიანი სიმაღლის შენობა მზად არის 92 პროც. მიღებულია 5 ტონაზე მეტი მოწყობილობა ქვანახშირის გარეცხვისათვის. უკვე დადგმულია მთელი რიგი ტრანსფორმატორები, შენობაში შეტანილია და იდგმება 6 ელევატორი. თვითეული ელევატორი 11 ტონაა, იდგმება სანალექო მანქანა.

ჭადრაკი

ტფილისის ჩემპიონატი
მეათე ტური

მეათე ტური ყველაზე საინტერესო გამოდგა. პირველ ადგილზე გამსვლელის შანსები აქვთ: **კანკავას, ებრალიძეს, აბრამიანს და კასპარიანს.**

კანკავა — ვეიზერის პარტია გადაიდო უკანასკნელისათვის უკეთეს მდგომარეობაში (ზედმეტი პაიკი), **ებრალიძე—ხერედის პარტია** პირველისათვის მოსაგებ მდგომარეობაში, **აბრამიან—გამბარაშვილის პარტია,** პირველისათვის უპირატეს მდგომარეობაში (ზედმეტი პაიკი), **კასპარიან—მალუნცევის პარტია რთულ და** გამოურკვეველ **მდგომარეობაში. ტალვიკ—შიშოვის** პარტია პირველისათვის წაგებულ მდგომარეობაში. **ფირცხალავა—ფალავანდიშვილის პარტია ყაიმით დასრულდა.**

გუშინ, დამთავრდა გადადებული პარტიები.

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი

დინამო—ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტი

ტფილისში ხუთი გუნდი იბრძვის პირველობისათვის, მათ შორის ყველაზე ძლიერია „დინამო" და ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის გუნდი. პირველობის საკითხი აღნიშნულ გუნდებს შორის დღემდე გადაუწყვეტელია, ამას, ალბად, მიმდინარე წლის საქალაქო პირველობის გათამაშება გამოარკვევს, მანამ კი ფიზკულტურის ტფილისის საბჭომ გადასწყვიტა მოაწყოს ამ გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

მატჩი შესდგება 24 აპრილს ლენინის სახელობის სტადიონზე. თამაში დიდ სასპორტო ინტერეს წარმოადგენს. „დინამოს" და ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის გუნდის უკანასკნელი შეხვედრა მოხდა 1934 წლის გაზაფხულზე. მაშინ შეჯიბრება სტუდენტებმა მოიგეს, რომლებიც ლენინის რაიონის ნაკრები გუნდის სახელით გამოდიოდნენ.

გუნდები გაცხოველებით ემზადებიან ამ შეჯიბრებისათვის. „დინამოს" მხრიდან გამოყოფილია ნაკრები გუნდი შემდეგი შემადგენლობით: დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ბელოვი, აბაშიძე, პოდშივალოვი, სომოვი, ასლამაზოვი, იამშანოვი, ჩერენიჩენკო, პანინი.

ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის გუნდის შემადგენლობა: კასრაძე, ჰუმბურიძე, ჯორბენაძე, კირილოვი, მინაევი, კოძიხი, რამიშვილი, ყალიჩავა, ვაჩნაძე, სიხარულიძე, ბოლოტინი.

შემთხვევები

#ქურდების ბრბოს ლიკვიდაცია. 19 აპრილს მილიციამ აღმოაჩინა ქურდების ბინა (ძერჟინსკის ქ. № 1), რომელიც ოფიციალურად ეჭირა სახ. ოპერის გუნდის მსახიობს ოლღა კონსტანტინეს ასულ ტრიფონოვას. ბინის გაჩხრეკისას აღმოჩნდა მოპარული ნივთების დიდი რაოდენობა, რომელსაც იქ შესანახად აბარებდენ. ამავე ბინაზე ბოროტმოქმედებების შემდეგ თავშესაფარს პოულობდენ ცნობილი ქურდები, რომლებიც ამას წინათ დააპატიმრა მილიციამ—პეტრე დოდინი, ივანე კუჩმა, ძმები მიხაილოვები—ნელიუბინები და სხვ. აღმოჩენილი და გამოცნობილი ნივთები დაუბრუნდა დაზარალებულებს. დარჩენილი ნივთების მეპატრონეებს არკვევენ. ტრიფონოვა დაპატიმრებულია, გამოძიება წარმოებს.

#გაუფრთხილებელი ხვლა. კარლ მარქსის ხიდზე მე-4 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი ჰოხონელიძე (ბასეინის ქ. 35), დაეჯახა წინ მდგარ ურემს. ტრამვაისა და ურემს შუა მოყვა პელიძის ქალი (სოფ. ახალსოფლის მცხოვრები), რომელიც დაშავდა.

#ჩხუბისა და მოქ. კერვალიძის (ტყიბ. შეს. 19) ცემისათვის შეიპყრეს ლ. ი. აკოპოვი და ა. მ. გართანოვი.

კრებები და მოხსენებები

25 აპრილს საღამოს, 7 ს. ძველ ბოლშევიკთა საზ-ბაში (ლენინის ქ. 16) **პარტიის მესამე ყრილობის და 1905 წლის რევოლიუციის 30 წლისთავთან დაკავშირებით** საზ-ბის წევრთათვის პარტიულ და კომკავშირულ აქტივთან ერთად შესდგება მოხსენებები:

1. ამხ. მ. ტოროშელიძის „პარტიის მესამე ყრილობა";
2. ამხ. ი. თოვიძე „1905 წლის რევოლუცია". საზოგადოების წევრთათვის დასწრება სავალდებულოა.

პარტკალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) პარტკოლეგია წინადადებას აძლევს კონსტანტინე ყურაშვილს (ოჩემჩირის მტს-ის დირექტორის მოადგილე), გამოცხადდეს ც. კომიტეტში (რუსთ. პროსპ. ოთახი № 21) ამხ. ჩიხლაძესთან 25 აპრილს.

— ორჯონიკიძის სახ. რაიკომი იუწყება, რომ 25 აპრილს საღამოს 7 საათზე შესდგება პროპაგანდისტთა მორიგი მეცადინეობა ყველა ტიპის სკოლების და წრეების ხელმძღვანელებისათვის, გარდა მიმდინარე პოლიტიკის წრეების ხელმძღვანელებისა. ყველა პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა.

სანიმუშო სასურსათო მაღაზიები

ცეკავშირი წელს საქართველოს რაიონებში გახსნის 12 სანიმუშო სასურსათო მაღაზიას. სარაიონო მაღაზიები გორში, ზუგდიდში, ზესტაფონში, სიღნაღში, ხონში, ლანჩხუთში, ქობულეთში, ლუქსემბურგსა და აღბულაღში გაიხსნება 1 მაისისათვის.

საქართველო

✪ **გორში** დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ლენინის და ორჯონიკიძის ქუჩების გუდრონირებისათვის დაახლოვებით ორი კილომეტრის მანძილზე.

✪ **კასპის რაიონის** თურქულ სოფლებში საკადამიაში და ფერგაში, აგრეთვე ოსების სოფელ საკადაგიაში (მეორე სოფელია), წელს პირველად შენდება დაწყებითი სკოლები, რომლებშიაც მეცადინეობა იწარმოებს მოსახლეობის მშობლიურ ენაზე.

✪ **სამტრედიაში** მომავალ წელს აბრეშუმის მრეწველობის სამმართველო იწყებს აბრეშუმის ძაფსართავი ქარხნის აგებას. საესკიზო პროექტი უკვე შედგენილია. ფაბრიკა წელიწადში გამოუშვებს 80 ტონა მაღალხარისხოვან აბრეშუმის ნართს. ფაბრიკის მშენებლობაზე დაიხარჯება მილიონი მანეთი.

✪ **სოფ. ბახვში** (მახარაძის რაიონი) არსებული 16 ცხენძალიანი ელსადგური ფართოვდება 50 ცხენძალოვნობამდე. მუშაობა უკვე დაწყებულია. მალე ბახვის ყველა კოლმეურნეები შინ მიიღებენ ელენერგიას.

საშენი მასალების შესწავლა

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემია თავისი პეტროგრაფიული ინსტიტუტის მეშვეობით მიმდინარე წლიდან ამიერკავკასიაში სისტემატიურად შეისწავლის ბუნებრივი საშენი მასალების თვისებებს. მუშაობა ამ მასალების შესასწავლად იწარმოებს 4—5 წლის განმავლობაში. მუშაობის ჩასატარებლად ინსტიტუტმა გამოყო სპეციალური თანამშრომლები და საჭირო სახსრები.

ყვავილების მორწყვა ტფილისის ბოტანიკურ ბაღში.

ხელოვნება

„კაკალ გულში" უშ. ჩხეიძის მონაწილეობით

რესპუბლიკის სახალხო არტისტი **უშანგი ჩხეიძე** ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ კვლავ უბრუნდება სცენას. 26 და 27 აპრილს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მისი მონაწილეობით მიდის შ. დადიანის კომედია „კაკალ გულში".

კვეჟენაძის როლში — **უშანგი ჩხეიძე.**

ტფილისი

✪ **ტფილისის საბჭომ** ნება დართო საქვაჭრობას, ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირს და სარეწაო საბჭოს გამოუშვან ქუჩებში წვრილმანით მოვაჭრეები, რომლებიც ჩაცმული იქნებიან ერთი ფორმაში.

✪ **57.484.200 მანეთი** დაამტკიცა ტფილისის საბჭომ ტფილისის საქალაქო მეურნეობის კაპიტალური დაბანდების თანხად მიმდინარე წლისათვის.

✪ **ტფილისში ცირკის** ახალი შენობის აგებაზე დასახარჯავად მიმდინარე წლისათვის ტფილისის საბჭომ გადასდო 800.000 მანეთი. ცირკი აიგება პლეხანოვის პროსპექტზე.

✪ **კინო-აქტიორის სახელოსნო** მოაწყო სახკინმრეწვმა თავის ფაბრიკასთან. სახელოსნოში კინო-აქტიორები ისწავლიან—დიქციას, მხატვრულ კითხვას, ფარიკაობას და სხვ.

✪ **საქვაჭრობის დირექციამ** გადასწყვიტა ბარნოვის ქ. № 8 სახლს დააშენოს ახალი სართული საქვაჭრობის სისტემაში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

წერილები რედაქციისადმი

ტრამვაის საათობით ველოდებით

(მუშის წერილი).

ტფილისში თითქმის ყველა მარშრუტზე ვაგონების სიმცირეა, განსაკუთრებით კი დიდუბის ხაზზე (მარშრუტი № 13).

ამ ხაზზე ყოველდღიურად 10 ვაგონი უნდა მუშაობდეს, მაგრამ ეს იშვიათია. მაგალითად, 1 აპრილიდან 12 აპრილამდე მუშაობდა 8 ვაგონი, 12 აპრილიდან დღემდე კი მუშაობს მხოლოდ 4. ამიტომაც მოხდა, რომ 13 აპრილს მაუდკამვოლის ფაბრიკის რამდენიმე მუშამ 45 წუთი დაიგვიანა.

მაუდკამვოლის ფაბრიკაში, დილის 8 საათზე იწყება მუშაობა, მაგრამ მე-2 საათით ადრე ვდგები, რადგან ვიცი, რომ მე-13 მარშრუტით ვაგონები საკმაო რაოდენობით არ დადის და რაც დადის, მათი მოძრაობაც მოუწესრიგებელია. ამჟამად ერთი ლიანდაგის შეკეთება მიმდინარეობს და გაუქმებულია, ამიტომ მუშებს 1 საათს და ზოგჯერ მეტ ხანსაც გვიხდება ლოდინი. ხანდახან ვაგონს შუაგზიდან აბრუნებენ ხოლმე და ლოდინის დრო ორკეცდება.

ყველა ზემოდ მოყვანილი ფაქტი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ტრამვაის დირექციამ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა ტფილისის კომიტეტის პლენუმის მითითების მიხედვით.

ვანო ჩქარეული.

გამომგონებლებს ჯილდოს არ აძლევენ

საბჭოთა კანონი სასტიკად სჯის სამეურნეო ორგანიზაციის იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც მუშათა გამომგონებლობას ბიუროკრატიულად ეპყრობიან. ეს უნდა შეიგნონ ჭიათურის „მარგანტრესტის" სატრანსპორტო განყოფილების ხელმძღვანელებმა.

სტეფანე კოტალოვი ჭიათურაში თითით საჩვენებელი მუშაა. მას ყველა იცნობს, როგორც საუკეთესო დამკვრელს და შრომის ენტუზიასტს. კოტალოვი დიდად დაინტერესებულია წარმოების მექანიზაციით.

მან ჯერ კიდევ 1933 წლის 14 მაისს „მარგანტრესტში" მნიშვნელოვანი წინადადება წარადგინა მაღარო № 17 მადნის ჩამოსაშვებიდან ექსკავატორამდის ლიანდაგის დგების შესახებ. ამით შესაძლებელი ხდებოდა მაღაროდან მადნის პირდაპირ ვაგონში ჩაყრა. ეს გამოგონება ძალიან კარგი გამოდგა. ტრესტის ხელმძღვანელებმა მიიღეს და გაატარეს ცხოვრებაში. ამ გამოგონების გატარებამდე ერთი მუშა დღეში 600 ფუთ მარგანეცს ამუშავებდა. ახლა კი ათას ფუთზე მეტს ამუშავებს. ამის შემდეგ ცხადია, თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანა გამოგონებამ წარმოებას.

სტეფანე კოტალოვს ამ გამოგონებისათვის კანონით ერგება 652 მანეთი. მაგრამ ეს თანხა მას დღემდე არ მიუღია. ტრესტის სატრანსპორტო განყოფილების უფროსი **შალიკო ხითარიშვილი** დაუშვებელ გულგრილობას იჩენს მუშა - გამომგონებლებისადმი. კოტალოვს დღემდე დაპირებებით კვებავენ. „ხვალ მოდი, რა გეჩქარება, შე კაცო, შენს კუთვნილ ფულს ვინ წაგართმევსო". ასე აჭიანურებს ხითარიშვილი კოტალოვისთვის ფულის მიცემის საქმეს.

ხითარიშვილმა დაპირებებით თავი მოაბეზრა გამომგონებელს. სიტყვა „მარგანტრესტის" მმართველს ეკუთვნის.

კლ. გოგიავა.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1934-35 წ. სეზ. ტელ. 3-03-47

დღეს 2 [illegible] დღით აბ. გარ., დირ. ბრეიზახის გასტრ.
სიმფ. ო. ცერტი ასაფ. 1 ს. 30 წ.
საღ. 4 აბ. 13 წარ.
სევილ. დალაქი
რ. ლოპატკინის მონაწილეობით

25 აპრილს
5 აბონ. 13 წარ.
ტოსკა
პ. რიშეს მონაწილეობით.

26 აპრილს
6 აბონ. 13 წარმ.
ფაუსტი
და ვალპურგ. ღამე
პ. რიშეს და რ. ლოპატკინის (უკანასკნელი გამოსვლა) მონაწილეობით.

აბონენტები, რომელთაც არ ექნებათ შეტანილი თავიანთი აბონემენტის მე-11 შესატანი, თავიანთ წარმოდგენაზე არ დაიშვებიან და მათი ადგილები გაიყიდება.
დაიწყო უკანასკნელი მე-12 შესატანის მიღება.
წარმ. დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

რუსთაველის თეატრი
[illegible]

დღეს 16 აბ. 8 წარ. ანზორ
26 აპრილს ა აბონ. 8 წარ. რღვევა
27 აპრილს ბ. აბონ. 8 წარ. რღვევა

რუსთაველის თეატრში დამკვრელთა მუდმივი ადგილების მფლობელთა საყურადღებოთ ცხადდება, რომ თუ 23 აპრილამდე არ იქნება დაფარული მუდმივი ადგილების დავალიანება, კუთვნილი თანხა აღებული იქნება სასამართლოს წესით.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8-ნახ. საათზე.
სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე.

მარჯანიშვილის თეატრი

24 აპრილს აბონ. გარეშე — წარმოდგენა № 138
მზის დაბნელება საქ.
25 აპრილს აბონ. გარეშე — არტლეგიონის საშეფო წარმ. წ. № 139
ვერაგობა და სიყვარული

ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან.
დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. სალარო ღიაა 11—2 6—9 ს.

ოქტომბერი 6-30, 8-30. 10-30.	უკანასკნელი დღე მაქსიმეს სიყრმე ხვალ—ახალი გულივერი.
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	უკანასკნელი დღე პოეტი და მეფე ხვალ—ფინჯანი ჩაი.
ტემპი 6, 7-40, 9-20, 11.	უკანასკნელი დღე თავადის ქალი მერი ხვალ—ბელა.
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვ. საზღვარგარეთული ფილმი შიგ პარიზში
„26"-ის კომ. სახ. 7, 8-30, 10	ხმოვანი კომედია მხიარული ახალგაზრდობა

ა.-წ. 27 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის ტუბ ინსტიტუტის შენობაში შესდგება
სრ. საქართველოს ფიზიო-თერაპევტთა
თათბირი
7802 სამკურნალო სამმართ. უფროსი სოსიანი.

ტფილისის საგზაო ჯანმრთელობის განყოფილების
საკურორტო სამმართველო
აცხადებს იმ ორგანიზაციათა და პირთა საყურადღებოდ, რომლებმაც შემოიტანეს განაცხადი ოთახების მიღებაზე კოჯორში, რომ მათ ქირა უნდა გადაიხადონ 30 აპრილამდე. ვინც ამ ვადისათვის ქირას არ შემოიტანს, მათი განაცხადი გაუქმდება და ოთახები სხვებს გადაეცემა.
ტფილისის საგზაო ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველო.
7818

1935 წლის 30 აპრილიდან
აზნევთეტორგის ტფილ. განყოფილება
უქმდება
აზნევთეტორგის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეერთების გამო.
ყველა პრეტენზია ყოფილ ტფილისის განყოფილებასთან უნდა წარუდგინოს აზნევთეტორგის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას 1935 წლის 1 ივნისამდე.
174 სამმართველო.

ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის და პირის საყურადღებოდ
აზნევტორგის
საქართველოს რესპუბლიკური კანტორა აცხადებს,
რომ ის 25 აპრილიდან კომინტერნის ქუჩიდან № 6
გადადის მაზუთის შესახვევში № 5.
174 სამმართველო.

„ტფილსოფმრეწვი"
საპირველმაისო დღესასწაულებისათვის
უშვებს
ყველა ორგანიზაციაზე საშაქარლამო ნაწარმს
საერთო ფასებში:
მონპასიე, კარამელი, შოკოლადი, ნამცხვრები და სხ.
განრიგების გაცემა სწარმოებს „ტფილსოფმრეწვში" ჟელიაბოვის ქ. № 4, საქონლის გაცემა—300 არაგველის აღმართი № 3.
7817 „ტფილსოფმრეწვი".

შვილები: ვალოდია, მიშა, საშა, კოლია, შალვა, ვასო; ქალიშვილები: ოლია, მარიამი ქმრებით გალაქტიონ ტაბიძე და ალექსანდრე ანდრეევი, რძლები: ნინა, ვიქტორია, აზხენი' შვილიშვილები გივი, კუკური, გულატი, ნათელა, არჩილი, ვაჟა ულრმესი მწუხარებით იუწყებიან დედისა და ბებიის
ელისაბედ პავლეს ასულ ოკუჯავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24—25 აპრილს საღამოს 7 ს. გამოსვენება 26 აპრილს საღამოს 5 ს. ბინიდან მახარაძის ქ. №9. ს.

ნიკო დავითის-ძე გურიელი ცოლშვილით აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ 21 აპრილს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და
ვერა დავითის ასული გურიელი ანდღულაძისა
დაკრძალვა მოხდება 24 აპრილს, სადგურ სუფსაში ნაშუადღევის 3 საათზე.

ვასო ხუნწარია და ანტონ ორაგველიძე იუწყებიან ამხ. სერგო სურგულაძის საყვარელ შვილის
რეზოს
უდროვოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 25 აპრილს 6 ს. მილიციის ქ. № 17.
7819

საქართველოს რადიოფიკაციის და რადიო გადაცემის კომიტეტის მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ვანო დოლიძეს მისი მამის
გიტო გაბრიელის-ძე დოლიძის
გარდაცვალების გამო, რომლის დაკრძალვა დანიშნულია 25 აპრილს ს. კვირიკეში.
7821

სახკომსაბჭოსთან არსებული ა.-კ. რადიო კომიტეტის პარტჯგუფი და პროფჯგუფი იუწყება საქ. რადიო კომიტეტის თანამშრომელ ამხ. ივანე დოლიძის მამის
გიტო დოლიძის
გარდაცვალებას.

ცოლი ნინა, შვილი ოთარი, დედა ანნა, რძალი ეკატერინე შვილით—ნოდარი მწუხარებით იუწყებიან
ივანე (ვანიკო) თათეოზის-ძე მიხაილოვის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 ს. გამოსვენება 25 აპრილს 5 ს. ჟელიაბოვის ქ. № 12.
7822

მეუღლე კატო, შვილები დათა და ევსევი, რძალი ანეტა, შვილიშვილები ნუცა, ბიჭო, ვამიკო და ცირუ აუწყებენ მეგობართ
სიმონ გვილავას
გარდაცვალებას. დასაფლავება ქუთაისში 25 აპრილს.
7807

შვილები: ნინო, ქეთევანი, დიმიტრი, სიძეები: ნესტორ დიმიტრის-ძე ცინცაძე და ვლადიმერ კირილეს-ძე გეგენავა იუწყებიან მამის და სიმამრის
გიორგი გაბრიელის-ძე გამრეკელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 აპრილს 2 ს. კუკიის სასაფლაოზე.
7805

დამწუხრებულნი: სეით—ცოლით ნინოთი, შვილებით: გაბო, ალექსანდრე, დავით ოჯახებით, და დაი ელენე იუწყებიან დაუვიწყარი ძმის და ბიძის
გიორგი გაბრიელის-ძე გამრეკელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. დღეს 2 ს.
7810

მშობლები: მაშიკო, ალექსანდრე, ცოლი ოლია, და სონია ძმები: მიშა, საშა, გენო, ბუჭუ კიკვაძეები იუწყებიან, რომ ქუთაისში 27 აპრილს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას
კოლია კიკვაძის
ხსოვნის აღსანიშნავად.
7794

ღრმად დამწუხრებული ტიგრანი და ტასო წეენიევი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს
ნინო გრიგორის ასული მერაბიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. გორში 24 აპრილს.
7811

გულმოკლული მშობლები: კაკო, ელიკო (აგრაფინა) ხაჭაპურიძეები იუწყებიან საყვარელი შვილის
ოთარი ხაჭაპურიძის
უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 6 ს. დასაფლავება 25 აპრილს ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება კომინტერნის ქ. № 5. 5 ს.

ბიძები: გოგი (პოდისტი) ევგენი ცოლშვილით, დეიდა ოლია დაბელიები მწუხარებით იუწყებიან საყვარელ დისშვილის პატარა
ოთარი აკაკის-ძე ხაჭაპურიძის
უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 25 აპრილს ვერის სასაფლაოზე გამოსვენება კომინტერნის ქ. № 5 5 ს.

დამწუხრებული შვილები: ივანე და მიხეილი რძლებით მარო და ნინა იუწყებიან მათი საყვარელ დედის
ნინა გრიგოლის ასული მერაბიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. გორში 24 აპრილს.
780[illegible]

დამწუხრებული დები: არეთა, ნადია, მარგალიტა, ქეთო, ძმები: პროკოფი, გრიშა, რძალი იულია, სიძეები გიორგი ქუთათელაძე, გრიშა ჯიქიძე იუწყებიან საყვარელ
შალიკო ალექსანდრეს-ძე ხაინდრავას
გარდაცვალებას. გამოთხოვება 25 აპრილს ხონში.
7806

ბებია სონა, დეიდა მარო ქმრით კარპეს ზარათაშვილი შვილებით: ნათელა, დო რაკლით, ფატია ქავთარაძისა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას
რეზო სურგულაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25 აპრილს 4 ნახ. ს. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს.
71814

სტამბა „კომუნისტი" ქამოს ქ. № 68
მთავლიტის რწმუნებული ბ—9314